ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 2009 | №316 (5057) | ფასი: 30 თეთრი

## ბელორუსი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე ვერ დაიყოლიეს

გვ.6



# სენსაციური ჩვენება ირაკლი დოკვაძის საქმეში

ელზა გულიაშვილის დების დაკითხვამ შეი ლება ყველაფერი შეცვალოს

გვ.4

## დიმიტრი შაშკინს პრემიერობისთვის ამზადებენ

გვ.2

გვარამია ოქრუაშვილის გზას არ აირჩევს





## საქართველოში ღორის გრიპის ეპიდემია არ არის!

გვ.3

## რუსულმა კატარღებმა ოჩამჩირე სასწრაფოდ დატოვეს

გვ.3

## ოპოზიცია ხელისუფლებას მორიგ ტყუილში ამხელს



გვ.3



## ციხეების მინისტრი შეიძლება გია თორთლაძე გახდეს

გვ.3



## „საპატრიარქომ ცინიკური პასუხი გაგვცა“

გვ.4

## კუდ-მა მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე დააკავა

გვ.2

## მიხეილ სააკაშვილმა მეგზევეები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა



გვ.2

## კოკოითი აღდგენითი სამუშაოების ხარისხით უკმაყოფილოა



გვ.2



გვ.6

## სააკაშვილს უნდოდა, საბჭოთა უშიშროებაში ემსახურა

3 ირანი აშშ-ს საქართველოში დაკავებული მოქალაქის გათავისუფლებისკენ მოუწოდებს

7 რა კავშირშია ზამთარი საწვავის გაძვირებასთან

2 შაშკინის მთავარი პრიორიტეტები მოსწავლე და მასწავლებელი იქნება

8 ოპოზიციას ედეპეს გაძლიერება აღიზიანებს

## ლატვია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არასოდეს აღიარებს

ლატვია აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არასოდეს აღიარებს.

ამის შესახებ ლატვიის პრეზიდენტმა ვალდის ზატლერსმა გუშინ ქართველ კოლეგასთან მიხეილ სააკაშვილთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ლატვიის პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არის და ყოველთვის იქნება მხარდაჭერილი ლატვიის მხრიდან.

**პირველი**

## რუსულმა კატარღებმა ოჩამჩირე სასწრაფოდ დატოვეს

7 დეკემბერს დაახლოებით 18:00 საათზე ოჩამჩირის სამხედრო ბაზაზე განლაგებულმა რუსულმა კატარღებმა სასწრაფოდ დატოვეს პორტი და გაურკვეველი მიმართულებით გაცურეს.

როგორც „მედიანიუსს" ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, ოჩამჩირის ბაზაზე განგაში არ გამოცხადებულა.

3 „მანგუსტისა" და „სობოლის" ტიპის კატარღა ოჩამჩირის ბაზაზე 7 დეკემბრის 11:00 საათისთვის უკვე იმყოფებოდნენ. თუმცა, არ შედგა მათი საზეიმო დახვედრის ცერემონიალი, რომლის ორგანიზატორიც ადგილობრივი მარიონეტული რეჟიმი იყო.

**მედიანიუსი**

## მიხეილ სააკაშვილმა მეგზევეები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა



საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ავლაბრის სასახლეში მეგზევეები ღირსების ორდენებით დაჯილდოვა. პრეზიდენტმა ღირსების ორდენი პირველად გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რამაზ ნიკოლაიშვილს გადასცა.

სააკაშვილმა გზების მშენებლობის პროექტებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის გზების დაგება და ინფრასტრუქტურის მოწყობა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, გზების მშენებლობის პარალელურად, განვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, ანაკლიაში, მესტიასა და სხვა რაიონებში.

საქართველოს პრეზიდენტმა, დავით ტყეშელაშვილისა და რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს კარგი მუშაობაც აღნიშნა.

ამასთან, პრეზიდენტის განცხადებით, იმისათვის, რომ თბილისი განიტვირთოს და დედაქალაქში 1,5 მლნ ადამიანი არ ცხოვრობდეს, აუცილებლად უნდა განვითარდეს რეგიონები და იქ უნდა გაჩნდეს მუშა ხელზე მოთხოვნა.

პრეზიდენტმა მაგალითად ქუთაისში პარლამენტის გადატანა მოიყვანა, რომელიც საპარლამენტო დებატების საგანი გახდა. სააკაშვილის შეფასებით, ყველა ლარი, რომელიც ქუთაისის განვითარებაზე მიიმართება, 10 ლარს მოიტანს.

**ინტერპრესნიუსი**

# დიმიტრი შაშკინს პრემიეროზისთვის ამზადებენ

### გვარამია ოქრუაშვილის გზას არ აირჩევს

**ნათია ხურცილავა**

**შესაძლოა საქართველოს მალე ახალი პრემიერი მოევლინოს. დღევანდელი პრემიერ-მინისტრი, ნიკა გილაური, რევოლუციის რიგით მეხუთეა აღნიშნულ თანამდებობაზე. საქართველოში პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ერთგვარ აქილევსის ქუსლადაც კი იქცა. გილაურის წინამორბედი, გეგა მგალობლიშვილი, სკანდალურად გადადგა, თუმცა მაშინ ეს სკანდალი მისი გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობით შეიფუთა. „გაუარესებული ჯანმრთელობა" მგალობლიშვილს, როგორც ჩანს, ხელს არ უშლის, იყოს ნატოში საქართველოს ელჩი. ამბობენ, რომ მგალობლიშვილს სწორედ ამით დაუფასდა სიჩუმე.**

გეგა მგალობლიშვილი, გავრცელებული მოსაზრებით, გიგი უგულავას კადრი იყო, დღევანდელი პრემიერი ნიკა გილაური კი შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის კადრად ითვლება. გილაური ჯერჯერობით მერაბიშვილის იმედებს ამართლებს, თუმცა რატომ შეიძლება მოხდეს კიდევ ერთი მერაბიშვილის კადრით (შაშკინით) გილაურის ჩანაცვლება, გაუგებარია.

რეალურია თუ არა გავრცელებული ხმები ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნასთან დაკავშირებით, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ამბობენ, რომ ახალი სამთავრობო კარუსელი უახლოეს მომავალში ისევ დატრიალდება.

„ახალი თაობა" დავით ზურაბიშვილს ესაუბრა.

***— ბატონო დავით, რას იტყვით განათლების მინისტრის შეცვლასთან დაკავშირებით, რატომ დასჭირდათ შაშკინის განათლების მინისტრად გადაყვანა?***

— ძალიან რთულია ამაზე რამის თქმა, რადგან არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. ერთადერთი კანონზომიერება, რაც შეიძლება შევნიშნოთ, ის არის, რომ სანამ განათლების მინისტრად ვინმეს დანიშნავენ, ძალოვან სტრუქტურაში უნდა იყოს გავლილი. გვარამია პროკურორი იყო. ახლა შაშკინი პირდაპირ ციხეებიდან გადაიყვანეს. კიდევ ერთი,რაც შეიძლება შევნიშნოთ, ის არის, როდესაც ამბობენ, რომ ყოფილი მინისტრი სასწავლებლად მიდის. ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. განათლების ყოფილი მინისტრი სასწავლებლად რომ წავა, ჯერ ისწავლოს და მერე გახდეს მინისტრი.

***— თავის დროზე ოქრუაშვილიც სასწავლებლად წავიდა...***

— არა მგონია, გვარამიამ ოქრუაშვილის გზა გაიმეოროს. ეს ძალიან მეეჭვება. თუმცა, რომ შევაფასო მისი ყოფნა განათლების მინისტრის პოსტზე, უნდა ითქვას, რომ მის მიმართ ძალიან ნეგატიურად იყო განწყობილი ლომაიას გუნდი. ჩემი ძველი ნაცნობ-მეგობრების გუნდი „თავისუფლების ინსტიტუტიდან" გვარამიას საკმაოდ ერჩოდა. გვარამია, როგორც პოლიტიკური ფიგურა, ჩემში სიმპათიას არასოდეს იწვევდა, მით უმეტეს, პროკურორობის დროს.

***— თქვენ დოკუმენტურ ფილმს გულისხმობთ, „ნოემბრიდან ნოემბრამდე"...***

— დიახ, ყველა რომ რუსეთის აგენტებად გამოგვაცხადა, თუმცა, როდესაც განათლების მინისტრად მივიდა, ბევრი რამის, რაც საერთოდ არ



**თუ ალოვან სტრუქტურაში არ გიმუშავია, განათლების მინისტრი ვერ გახდები**

ექვემდებარებოდა ლოგიკას და მხოლოდ ერთი-ორი ადამიანის ახირება იყო, გასწორებას შეეცადა. ეს ეხებოდა სასწავლო გეგმებს, ე.წ. ინტეგრირებულ სწავლებას. რაღაცის გამოსწორებას ეცადა და ამან გამოიწვია უკმაყოფილება. ამას რეფორმის პროცესის შეჩერება დაარქვეს. რა რეფორმის შეჩერებაზე იყო საუბარი, კაციშვილი ვერ გაიგებდა.

***— ფიქრობთ, ამას შეეწირა გვარამიას თანამდებობა?***

— ეტყობა, ამის გამო მოუწია თანამდებობის დატოვება.

***— რაც შეეხება შაშკინს, ის გააგრძელებს შეჩერებულ რეფორმებს?***

— არ ვიცი. თვითონ შაშკინს ამ სფეროზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. როგორც ვიცი, არასოდეს ჰქონია შეხება მასთან. პროფესიით ის იურისტია. გააჩნია, რა გუნდს შემოიკრებს, ვის დაიყენებს გვერდით, რა ნაბიჯებს გადადგამს. თუ ისევ ის ხალხი შემოიკრიბა, რომლებიც ლომაიას გუნდში იყვნენ, მაშინ ის ვარიანტია, რაც გითხარით, თუ უკვე არსებული ხალხი დატოვა, მაშინ მეორე ვარიანტია. ვნახოთ, რას იზამს.

***— ისე, გვარამიას დროს ლომაიას გუნდმა, თუ არ ვცდები, პროტესტის ნიშნად დატოვა სამინისტრო...***

— არა მგონია, რომ პროტესტის ნიშნად დატოვეს. მე ვიცი, რომ გვარამიამ გაუშვა ისინი. თვითონ არსად წამსვლელები არ იყვნენ. ძირითადად ის ხალხი მოიცილა გვარამიამ, რომლებიც სწორედ იმ ძველ გუნდს წარმოადგენდნენ. მე რომ მკითხოთ, ამ ხალხს რეფორმის ეგიდით საქართველოს განათლების სისტემის დაქცევაში დიდი წვლილი მიუძღვის.

***— ისე, რას ნიშნავს, რომ განათლების მინისტრს ძალოვანი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს გამოვლილი, თუ ხსნით, რატომ?***

— სააკაშვილის კარუსელებში ვერ ვერკვევი.

***— რამდენი ხნით არის შაშკინი განათლების სისტემაში გადასროლილი?***

— ეს კაცმა არ იცის, თუმცა ხმები დადის, რომ პრემიერმინისტრობას უპირებენ. პირდაპირ ციხეების მინისტრობიდან პრემიერ-მინისტრად დანიშვნა შეიძლება ცოტა უხერხული იყოს, განათლების მინისტრობის შემდეგ კი შეიძლება პრემიერი გახდე.

***— ამბობენ, რომ შაშკინმა გაამართლა. როგორც ფიქრობთ, პრეზიდენტს გაუმართლა იმედები შაშკინმა?***

— ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ იმდენი პრეტენზია არ ყოფილა, რამდენიც მისი წინამორბედის, ბაჩო ახალაიას, როგორც პენიტენციალური სისტემის ხელმძღვანელის მიმართ იყო.

***— დღეს რა ხდება განათლების სისტემაში?***

— არ მესმის, ისინი რას ეძახდნენ რეფორმას. ხელისუფლების წევრები ამბობენ, შეჩერდაო. რომ შეეკითხები, რა შეჩერდაო, ზოგადად და ბუნდოვნად გპასუხობენ. კონკრეტულად ვერავინ ვერაფერს გეუბნება. ძველი რეფორმატორები თუ იმას ფიქრობდნენ, რომ ვილაცები უნდა გაყარო და 25 წლის ბავშვები მოიყვანო, ეს არ არის ცვლილებისა და გადამზადების პროცესი. იყო პროგრამა, „ირმის ნახტომი", რომლის არსი არავინ იცის. სასწავლო პროგრამებიც ლომაია-ჯანაშიას გუნდს უკიდურესად გამარტივებისკენ მიჰყავდა, იმდენად, რომ საბაზისო ცოდნაზეც არ იყო საუბარი. ამ მიდგომებს გვარამია მეტ-ნაკლებად ცვლიდა. მას ასევე ჰქონდა ინტეგრირებული სწავლების იდეა. ახლა გასწორებისკენ მიდიოდა.

***— თითქოს სკოლაში გამოსაშვები გამოცდები უნდა დანიშნულიყო...***

— დიახ, იყო ამაზე საუბარი. სწორი მიდგომაა, რომ იყოს გამოსაშვებიც და არა მხოლოდ მისაღები გამოცდები. ამას ჯერ კიდევ 4-5 წლის წინ ვამბობდი, მაგრამ ვინ მისმენდა.

***— ისე, ბატონო დავით, პრეზიდენტმა ლომაიას დაუწუნა რეფორმა...***

— ხან იწუნებს და ხან იწონებს. მაშინ იმიტომ დაიწუნა, რომ საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევდა. ბუნებრივია, უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მაშინ 7 ნოემბრის შემდგომი პერიოდი იყო და აწყობდა ხალხისთვის კოჭის გაგორება. მყარი შეხედულებები არ აქვს სააკაშვილს. ისე, სააკაშვილის ტიპთან „თავისუფლების ინსტიტუტის" გუნდის შეხედულებები უფრო ახლოს არის.

***— როდესაც განათლების რეფორმას იწუნებდა, გულწრფელი არ იყო?***

— იმ წუთში შეიძლება ისე ფიქრობდეს, მაგრამ მეორე წუთში გადათქვამს. სააკაშვილს ეს სფერო საერთოდ არ ესმის. მას ჰყავს შეუვალი ავტორიტეტები და მათ უჯერებს ყველაფერს.

***— ისევ ელოდებით ხელისუფლებაში ცვლილებას?***

— მე ველოდები სააკაშვილის ცვლილებას. ამისთვის არჩევნებში გამარჯვებაა საჭირო.

***— არჩევნები ახსენეთ და ამიტომ გკითხავთ: ოპოზიციის ერთი ნაწილი ამბობს, რომ „რესპუბლიკელები" თანახმა არ არიან, პრაიმერით ოპოზიციის ერთი კანდიდატი გამოიკვეთოს...***

— „ალიანსი" ამის შესახებ მალე განცხადებას გააკეთებს და თავის პოზიციას დააფიქსირებს.

## კუდ-მა მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე დააკავა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ირა კოკაია დააკავეს.

როგორც კუდ-ის თანამშრომელმა ეკატერინე ოყროშიძემ გუშინ საღამოს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ირა კოკაიამ მოქალაქეს მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 1000 აშშ დოლარი გამოსძალა.

ოყროშიძის ინფორმაციით, დანაშაული 9-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს. საქართველოს უზენაეს სასამართლოში განმარტავენ, რომ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო არ არის ქვეყნის სასამართლო სისტემაში შემავალი სტრუქტურა, არამედ არის კერძო საარბიტრაჟო სამსახური.

**ინტერპრესნიუსი**

## შაშკინის მთავარი პრიორიტეტები მოსწავლე და მასწავლებელი იქნება

საქართველოს განათლების ახალი მინისტრის დიმიტრი შაშკინის მთავარი პრიორიტეტები მოსწავლე და მასწავლებელი იქნება.

— ჩემი მთავარი პრიორიტეტი მასწავლებელი და მოსწავლე იქნება. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მასწავლებელს ჰქონდეს შესაძლებლობა, ასწავლოს, მოსწავლემ კი ისწავლოს, — განაცხადა შაშკინმა, რომლის აზრით, განათლების გარეშე საქართველო ვერ განვითარდება.

რაც შეეხება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებს, როგორც შაშკინმა განაცხადა, განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმები გაგრძელდება, თუმცა იქნება ახალი იდეებიც. განათლების ახალი მინისტრი გუშინ უწყებაში პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა წარადგინა.

**პირველი**

## კოკოითი აღდგენითი სამუშაოების ხარისხით უკმაყოფილოა

ცხინვალის რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი დე ფაქტო რესპუბლიკაში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების ხარისხით უკმაყოფილოა. ამის შესახებ ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე.წ. კომიტეტი იუწყება. კოკოითიმ, მარიონეტული




რეჟიმის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მშენებარე ობიექტები გუშინ დაათვალიერა და მიმდინარე სამუშაოების ხარისხი შეამოწმა. მან შესაბამის სტრუქტურებს უბრძანა, სამუშაოების მწარმოებელ კომპანიებს ხარვეზების აღმოფხვრა დაავალონ.

თავის მხრივ, სამუშაოების მწარმოებლემა კოკოითის უთხრეს, რომ ხშირად დაფინანსების პრობლემები აქვთ. ე.წ. პრეზიდენტმა კი იმ ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება მოითხოვა, რომლებიც მოვალეობებს არაკეთილსინდისიერად ასრულებენ.

— შეამოწმეთ, როდის მიიღეს ორგანიზაციებმა თანხები სახლების ასაშენებლად და რა მიზეზით არ ასრულებენ ამოცანებს. რატომ არ არის დაფინანსება, როცა მათ დოკუმენტები უკვე გაგზავნილი აქვთ, — განაცხადა კოკოითიმ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ციხეების მინისტრი შეიძლება გია თორთლაძე გახდეს

ნანა მიშელაშვილი

**ახალ წლამდე მინისტრთა კაბინეტში მორიგი საკადრო გადაადგილება მოხდა. კიდევ ერთი საკადრო ცვლილება, რომელიც შესა ლოა განხორციელდეს, პრემიერის პოსტს უკავშირდება.**

ნიკა გილაურმა შესაძლოა თანამდებობა დატოვოს. გილაურის თანამდებობიდან მოხსნის თაობაზე მედია კარგა ხანია იუწყება. ამჯერად ვრცელდება მორიგი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნიკა გილაურს პრემიერის თანამდებობიდან წლის ბოლოსთვის მოხსნიან.

კულუარებში სახელდება ნიკა გილაურის შემცვლელიც. მომავალ პრემიერად გიორგი ქადაგიძე სახელდება. აქამდე პრემიერის პოსტზე სხვადასხვა გვარები სახელდებოდა. ბოლო არაოფიციალური ინფორმაცია, რომელიც მომავალი პრემიერის სავარძლის ირგვლივ ვრცელდება, გიორგი ქადაგიძეს უკავშირდება.

გიორგი ქადაგიძე ამჯერად ეროვნული ბანკის პრეზიდენტია. ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად 2009 წლის თებერვალში დაინიშნა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სანამ გახდებოდა გიორგი ქადაგიძე, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. მათ შორის: სხვადასხვა წლებში ქადაგიძე იყო სახალხო ბანკის საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი, გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

ნიკა გილაურის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას საპარლამენტო უმრავლესობაში არ ადასტურებენ. ბუნებრივია, არც იმის თაობაზე აკეთებს ვინმე კომენტარს, დაინიშნება თუ არა ამ თანამდებობაზე გიორგი ქადაგიძე. სანამ რეალური საკადრო ცვლილება არ განხორციელდება, მანამდე არავინ ხმას არ იღებს. მას შემდეგ კი, რაც რომელიმე მინისტრი პოსტს დატოვებს, კომენტარები კეთდება.

ყველა მინისტრის გათავისუფლების შემდეგ თითქმის იდენტური კომენტარები კეთდება. იცვლება მხოლოდ სახელები და გვარები, შეფასებები კი ერთი და იგივე რჩება. მმართველი გუნდის წევრები ამბობენ, რომ ახალი მინისტრი წარმატებული იქნება, ძველის მუშაობა კი დადებითად ფასდება.

უკვე ყოფილი მინისტრები კი ან სასწავლებლად მიდიან, ან დიპლომატიურ სამსახურში. ასე მოხდა რამდენიმე მინისტრის შემთხვევაში.

დიპლომატიური სამსახურიდან მოვიდა და ისევ დიპლომატიურ სამსახურში წავიდა ყოფილი პრემიერი გეგა მგალობლიშვილი. განათლების მინისტრი იყო, ახლა კი სასწავლებლად მიდის ნიკა გვარამია.

ნიკა გვარამია განათლების მინისტრის თანამდებობიდან წასვლას რომ აპირებდა, ეს ინფორმაცია რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. მაშინ თავად ნაციონალური მოძრაობის წევრები ამბობდნენ, რომ გვარამიას საზღვარგარეთ სასწავლებლად უნდოდა წასვლა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, გვარამიას შემცვლელი მოუძებნეს. განათლების სფერო დიმიტრი შაშკინმა ჩაიბარა.

ვარდების რევოლუციის შემ-



დეგ დიმიტრი შაშკინი მეხუთე მინისტრია, რომელიც განათლების სფეროს უხელმძღვანელებს. კახა ლომაიას, მაია მიმინოშვილის, გია ნოდიას და ნიკა გვარამიას შემდეგ განათლების სფერო დიმიტრი შაშკინმა ჩაიბარა.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ ყველაზე წარმატებულად განათლების რეფორმა სახელდებოდა, რომელიც კახა ლომაიამ დაიწყო. მართალია, ამ რეფორმის მიმართ ოპოზიციის ნაწილმა მწვავე კრიტიკა დასაწყისშივე გამოთქვა, მაგრამ ოპოზიციას მაშინ ყურს არავინ უგდებდა.

განათლების რეფორმის წარმატებაზე მმართველი გუნდი ახლაც საუბრობს, თუმცა, ზოგიერთი ლომაიას მიერ დაშვებულ შეცდომებსაც იხსენებს. ყველას ახსოვს სკოლის დირექტორების ლოტოტრონის პრინციპით დანიშვნა, რომელმაც არ გაამართლა და თავის დროზე კრიტიკის მიზეზი გახდა.

განათლების მინისტრის პოსტი საკმაოდ მძიმე რომ არის, ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ მინისტრები ხშირ-ხშირად იცვლებიან. ექვსი წლის განმავლობაში ამ პოსტზე მეხუთე მინისტრი დაინიშნა.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, პირველი პირის თანამდებობა ამჯერად ვაკანტურია. მას შემდეგ, რაც დიმიტრი შაშკინი განათლების სამინისტროში გადავიდა, სასჯელაღსრულების უწყება ახალ მინისტრს ელოდება.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის პოსტზე გუშინ ორი კანდიდატურა სახელდებოდა: ლევან ზარანდია და გია თორთლაძე. ორივე კანდიდატურა არაოფიციალურად მოიაზრებოდა მინისტრის პოსტზე. ლევან ზარანდია ამჟამად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის მოადგილეა. ის ე.წ. უდოს კომისიას ხელმძღვანელობს. ლევან ზარანდიას მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით საპარლამენტო ოპოზიციის წევრები გუშინ მთელი დღის განმავლობაში საკმაოდ მწირ ინფორმაციას ფლობდნენ.

დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც ე.წ უდოს კომისის წევრია, აღნიშნავს, რომ ლევან ზარანდია ძალიან კარგად იცნობს ამ სისტემას და სამინისტროს მენეჯმენტში ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა.

დეპუტატი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ლევან ზარანდია ცოტა ხნის წინ, პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა მატროსოვის ქუჩაზე მომხდარი ციხის ბუნტში გამოჩენილი მამაცობისთვის. „სწორედ მისი უშუალო მონაწილეობის შედეგია, რომ ციხეში ჩატარებული სპეცოპერაცია მსხვერპლის გარეშე დასრულდა", — ასეთია დიმიტრი ლორთქიფანიძის შეფასება.

ერთ-ერთი ინფორმაციით, განიხილებოდა ასეთი ვერსია, რომ სასაჯელაღსრულების სამინისტრო ოპოზიციისთვის ჩაებარებინათ. ამ კონტექსტში სახელდებოდა გია თორთლაძის გვარი.

გია თორთლაძე ამჟამად ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული პარტიის ლიდერი და ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეა. თუ გია თორთლაძე მინისტრის სავარძელს დაიკავებს, მაშინ მას სამივე თანამდებობის დატოვება მოუწევს.

სასჯელაღსრულების მომავალ მინისტრად გია თორთლაძის დანიშვნის შესახებ კულუარული ინფორმაცია გუშინ დილიდან გავრცელდა. ამ ინფორმაციაზე საპარლამენტო ოპოზიცის წევრები ჟურნალისტებთან თითქმის იდენტურ კომენტარებს აკეთებდნენ.

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია სიამოვნებით შესთავაზებდა ხელისუფლებას თორთლაძის კანდიდატურას. ჟურნალისტებთან საუბარში ბაღათურიამ განაცხადა, რომ დადებითად შეაფასებდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ მინისტრის პოსტი თორთლაძისთვის შეეთავაზებინათ. უფრო მეტიც, ბაღათურია სიამოვნებით შესთავაზებდა ხელისუფლებას თორთლაძის კანდიდატურას.

რაც შეეხება ყოფილ მინისტრ დიმიტრი შაშკინს, ბაღათურია მას დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ შაშკინმა საკმაოდ გაბედული რეფორმატორია, რაც ამ უწყებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორი იყო.

გია თორთლაძის პარლამენტიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში წასვლას მხარს უჭერენ უმცირესობაში შემავალი დეპუტატები. თავად თორთლაძე კი გუშინ მთელი დღის განმავლობაში პარლამენტში არ გამოჩენილა.

რაც შეეხება სხვა საკადრო გადაადგილებებს, ერთ-ერთი ვერსიით, უახლოეს ხანში თანამდებობას დატოვებს ეკონომიკის მინისტრი პოლოლიკაშვილი. მისი თანამდებობაზე დანიშვნა მოულოდნელი იყო, ამიტომ არავის გაუკვირდება თუ მინისტრის სავარძელს მალე დატოვებს.

ეკონომიკის მომავალ მინისტრად ერთ-ერთ ბიზნესმენს მოიაზრებენ, რომელიც საქართველოში საქმიანობს. მართალია ეკონომიკის მომავალი მინისტრის გვარი ჯერ არ სახელდება, თუმცა, კულუარებში საუბრობენ, რომ საქართველოს ეკონომიკის მომავალი მინისტრი ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესმენი იქნება, რომელიც რამდენიმე საწარმოს ფლობს და საკმაოდ წარმატებულია.

ვინ შეხვდება ახალ წელს ახალ თანამდებობაზე და კიდევ ვის მოუწევს სავარძლის დატოვება, ამ დღეებში გახდება ცნობილი.

## ირანი აშშ-ს საქართველოში დაკავებული მოქალაქის გათავისუფლებისკენ მოუწოდებს

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერხ მოთაქიმ აშშ-ს მოუწოდა გაანთავისუფლოს ირანის მოქალაქე, რომელსაც ამერიკული მხარე იარაღით უკანონო ვაჭრობაში ადანაშაულებს. ირანული მხარის მტკიცებით, მოქალაქე ამირ ჰოსეინ არდებილი აშშ-ს საიდუმლო სამსახურის აგენტებმა საქართველოში 2007 წელს დააპატიმრეს და ფარულად აშშ-ში გადაგზავნეს. მან 2008 წლის მაისში იარაღით უკანონო ვაჭრობა აღიარა. დელავერის შტატის სასამართლო მას განაჩენს მიმდინარე წლის 14 დეკემბერს გამოუტანს. მანუჩერხ მოთაქის მტკიცებით, არდებილის აღიარებითი ჩვენება მისი არასტაბილური ფსიქოლოგიური მდგომარეობითაა გამოწვეული და აშშ-მა საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია.

— მოვუწოდებთ აშშ-ს უპირობოდ გაანთავისუფლოს არდებილი. არდებილის ბრალდებაში ვერანაირ მყარ მტკიცებულებებს ვერ ვხედავთ, — აცხადებს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მედიანიუსი

# ოპოზიცია ხელისუფლებას მორიგ ტყუილში ამხელს

## მთავრობას უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ბედი არ ანაღვლებს

ნანა მიშელაშვილი

საპარლამენტო ოპოზიცია მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ შეცვალოს ის მიდგომა, რომელიც ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების მიმართ აქვს. გუშინ ერთმანეთის მიყოლებით ოპოზიციონერმა დეპუტატებმა პარლამენტში ბრიფინგი გამართეს და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური დაცვის საკითხებზე ისაუბრეს.

ბრიფინგი ჯერ „ქრისტიან-დემოკრატმა" მაგდა ანიკაშვილმა გამართა, შემდეგ კი დამოუკიდებელმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

„ქრისტიან-დემოკრატებს" მიაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ შეთავაზებული კანონპროექტი „ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" შეიცავს უსამართლო და დისკრიმინაციულ ნორმას.

— „ქრისტიან-დემოკრატებისთვის" მიუღებელია ის, რომ პროექტის თანახმად, ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას მიიღებენ დაღუპული ჯარისკაცების მხოლოდ შრომისუუნარო მეუღლე და მშობლები, — აღნიშნა მაგდა ანიკაშვილმა.

დეპუტატის თქმით, განურჩევლად შრომითი სტატუსისა, თავგანწირვის ფაქტი არ იცვლება. ანიკაშვილის განცხადებით, შრომისუნარიანია თუ არა ადამიანი, მისი ოჯახის წევრი დაიღუპა ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და თუ სახელმწიფოს სურს დააფასოს ეს გმირობა, არნაირი შეზღუდვა არ უნდა არსებობდეს და სოციალური გარანტიები თანაბარი უნდა იყოს ყოველი დაღუპულის ოჯახის წევრისთვის.

პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო ცვლილებები კანონში ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ, მეორე მოსმენისთვის კი „ქრისტიან-დემოკრატები" აყენებენ ალტერნატიულ წინადადებას, რომლის თანახმადაც, პროექტში აღარ იარსებებს შრომისუნარიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვა.

— ჩვენი წინადადება საჭიროებს დამატებით ფინანსურ დანახარჯებს. დეტალური გაანგარიშება უკვე მომზადებულია. ინიციატივა 4 მილიონი ლარის დამატებას მოითხოვს. „ქრისტიან-დემოკრატებს" მიგვაჩნია, რომ დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა თავდაცვის სამინისტროს ასიგნებების შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს, — ასეთია ანიკაშვილის პოზიცია.

ანიკაშვილის შემდეგ პარლამენტში ბრიფინგი გამართა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა. მის ბრიფინგს ესწრებოდა აფხაზეთის ომში გმირულად დაკარგული გოგიტა კიკნაძის და — თამარ კიკნაძე.

გიორგი ცაგარეიშვილი ხელისუფლებას ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებით მანიპულირებასა და მორიგ პიარში ადანაშაულებს.

ცაგარეიშვილის თქმით, პარლამენტში ინიცირებული იყო პროექტი, რომელსაც შეეძლო მართალია



ძალიან მცირე, მაგრამ გარკვეული შეღავათი მიეცა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისთვის, თუმცა, ხელისუფლებამ პროექტი პირველ მოსმენამდე შეცვალა. კერძოდ, კანონპროექტი პირვანდელი ვარიანტით კომპენსაციას აძლევდა დაკარგულების და დაღუპულთა შრომისუუნარო მეუღლეებსა და მშობლებს და 22 წლის ასაკს მიღწევამდე ბავშვებს. ახლა ეს შეცვალეს და დაწერეს 18 წლამდე ბავშვებზე.

— 1992-93 წელს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულების და გარდაცვლილების შვილები უკვე არიან 18-19 წლის ასაკს მიღწეულები. ეს არის ყველაზე დიდი ცინიზმი, რაც ამ კანონპროექტში დევს, ანუ ეს მუხლი, რომელიც ჯერ მიღებული არ არის, უკვე მკვდრადშობილია. ეს მუხლი არავის არ შეეხება და თავის მოტყუებაა, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

დამოუკიდებელი დეპუტატი ამბობს, რომ ასეთი მკვდრადშობილი ცვლილებების მიღებას საერთოდ არ მიეღოთ ცვლილებები, ჯობდა. ცაგარეიშვილი ასევე მიუღებლად მიიჩნევს იმ ჩანაწერს, რომელიც კომპენსაციის გაცემას მხოლოდ შრომისუუნარო მშობლებზე ან მეუღლეზე ითვალისწინებს.

რას ნიშნავს შრომისუუნარო მეუღლე და მშობელი? თუ ინვალიდია მშობელი მხოლოდ მას ეკუთვნის კომპენსაცია? ასეთ კითხვებს სვამს დეპუტატი ცაგარეიშვილი და ამ ჩანაწერს არასწორად მიიჩნევს.

გიორგი ცაგარეიშვილის პრესკონფერენციაზე მყოფმა თამარ კიკნაძემ, რომელიც აფხაზეთის ომში დაკარგული გმირის და არის, რამდენიმე თანამდებობის პირს მიმართა.

— მივმართავ ბატონ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს და ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძეს, ძალიან გთხოვთ, ნუ მოუკლავთ ხელმეორედ გამწარებულ ოჯახის წევრებს, დედებს შვილებს. ნუ მიიყვანთ იმ ზომამდე აღნიშნულ კატეგორიას, რომ უკიდურეს ფორმას მიმართონ, — აღნიშნა თამარ კიკნაძემ.

კიკნაძე ამბობს, რომ ხელისუფლება დროის გაყვანას ცდილობს, რადგან კანონპროექტში მკვდრადშობილი ნორმა დევს.

## საქართველოში ღორის გრიპის ეპიდემია არ არის!

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცილური დაცვის მინისტრის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ღორის გრიპის ვირუსის გამო ეპიდემიის ზღვარზეა, საგანგაშო არაფერია.

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე კვიტაშვილმა განაცხადა, სამედიცინო სისტემა ეპიდემიას სრულ მზად ყოფნაში ხვდება და ყველა ექიმმა იცის, რა გააკეთოს.

მისივე თქმით, დღემდე საქართველოში ახალი ვირუსით მხოლოდ 300-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, ბევრ ევროპულ ქვეყანაში კი ასიათასაობით დაინფიცირებულია, მაგრამ არსად არანორმალური პანიკა არ ატეხილა.

— ვირუსთან საბრძოლველად კლინიკებში შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს და მედიკამენტების საჭირო მარაგიც გვაქვს. საქართველო ეპიდემიის ზღვარზეა, მაგრამ ეპიდემიის გამოცხადების საჭიროებას ვერ ვხედავთ. პანიკის საფუძველი არ არსებობს. ინგლისში 2 მილიონი შემთხვევაა დაფიქსირებული, თუმცა ეპიდემია არ გამოუცხადებიათ, — განაცხადა პრესკონფერენციაზე მინისტრმა და დასძინა, რომ ამ დროისთვის დარეგისტრირებული 300-მდე დაინფიცირებულიდან, ოთხის მდგომარეობა შედარებით მძიმეა და მათი ჰოსპიტალიზება გახდა საჭირო.

მედიანიუსი

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან"
ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და
ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა", გაზეთი „ახალი თაობა"

თეა მარხვაძე

# საპატრიარქომ ცინიკური პასუხი გაგვცა

**წინა კვირას საპატრიარქოს გარშემო მორიგი სკანდალი აგორდა. საზოგადოების ნაწილმა საქართველოს პატრიარქს კითხვები გაუგზავნა და მათზე საჯაროდ პასუხის გაცემა მოითხოვა.**

ამ ფაქტმა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კითხვების ავტორები მავანმა ლამის ანტიქრისტეებად მონათლა. მავანმა ამ კითხვების უკან ხელისუფლების მზაკვრული სახე დაინახა. ზოგიერთმა კი თქვა, რომ პატრიარქისთვის კითხვების დასმა სულაც არ იყო დიდი საშინელება.

ასე იყო თუ ისე, სკანდალი აგორდა. პოლიტიკურმა პარტიებმა ერთმანეთის მიყოლებით დაუგმეს შეკითხვის ავტორებს პოზიცია. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ოპოზიციონერები. თავი ამ მხრივ არც ხელისუფლების წარმომადგენლებს შეურცხვენიათ. მათაც საკმაოდ სერიოზულად გააპროტესტეს პატრიარქისთვის დასმული კითხვები. თუმცა, ეს პროტესტი ოპოზიციამ მათ არ ჩაუთვალა. ოპოზიციონერების აზრით, ხელისუფლებას ეს პროტესტი საკუთარი ბნელი ზრახვების დასაფარავად დასჭირდა.

რაც შეეხება საპატრიარქოს პოზიციას, აქ, როგორც ყოველთვის, მრევლს თავშეკავებისკენ მოუწოდეს და არც კითხვებზე გაუცია ვინმეს პასუხი. აღნიშნეს, რომ კითხვის ავტორები არ წარმოადგენენ საზოგადოების ნაწილს.

საპატრიარქოს დუმილი



საზოგადოების ერთმა ნაწილმა დიდ შეცდომად მიიჩნია, მეორე ნაწილმა კი ეს პოზიცია მოიწონა.

კითხვების ავტორები საპატრიარქოს პასუხით აღშფოთებული დარჩნენ. ისინი საპატრიარქოსგან ახლა უკვე ამ პასუხის გამო ითხოვენ პასუხს. ისინი საზოგადოების ცნობილი სახეების და პოლიტიკოსების რეაქციამაც აღაშფოთა. თავისი აღშფოთება და შეშფოთება მათ გუშინ საგანგებო ბრიფინგზე გაახმაურეს.

აღშფოთებულთა პოზიციები გუშინ თეოლოგმა ბექა მინდიაშვილმა და ფსიქოლოგმა დავით ამირეჯიბმა გაახმოვანეს. მათი აზრით, საპატრიარქო თავს არიდებს კითხვებზე პასუხის გაცემას.

— ჩვენ, მიმართვაზე ხელისმომწერნი, ვთვლით, რომ იმ აბსურდული მოტივით, თითქოს შეკითხვების ავტორები არ წარმოადგენენ საზოგადოების ნაწილს, საპატრიარქო ცდილობს თავი აარიდოს პასუხს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს კითხვებში ჩამოყალიბებული მწვავე რეალობის მართებულობის შესახებ, — ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

ბექა მინდიაშვილი და დავით ამირეჯიბი საზოგადოების რეაქციას კი დემოკრატიისთვის საშიშ ტენდენციად და საბჭოთა გადმონაშთად მიიჩნევენ.

— გამოვხატავთ უკიდურეს შეშფოთებას საპატრიარქოს კომენტარის გამო და მიგვაჩნია, რომ იმ ადამიანების მარგინალიზაციის მცდელობა, რომლებიც ეწევიან საზოგადოებრივ აქტივობას და სვამენ მწვავე შეკითხვებს, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის უკიდურესად საშიში, ტიპიური საბჭოთა გადმონაშთია. არავის აქვს უფლება, ადამიანებს ჩამოართვას საზოგადოების წევრობის უფლება. საპატრიარქოს კომენტარის სტილი ცინიკური და შეურაცხმყოფელია. მას არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ მორალთან და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საპატრიარქო ცდილობს დაუმალოს საზოგადოებას სიმართლე. ჩვენ, მიმართვაზე ხელისმომწერნი, ვფიქრობთ, რომ ამ კომენტარით საპატრიარქო ხაზგასმით გვეუბნება, რომ არ აპირებს სიმართლისათვის თვალის გასწორებას და საბჭოთა მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებას, — მიაჩნიათ საგანგებო განცხადების ავტორებს.

ისინი საპატრიარქოს საზოგადოების დაპირისპირების მცდელობაშიც კი სდებენ ბრალს.

— არა საზოგადოების წევრების მიერ დასმული შეკითხვები, არამედ საპატრიარქოს მიერ ადამიანების სეგრეგაციის მცდელობა, ქმნის საზოგადოებაში დაპირისპირების საშიშ პრეცედენტს. თუკი ამ მცდელობას ჩვენი საზოგადოება ისევ მორჩილი დუმილით მიიღებს, მაშინ უკვე ხვალ საპატრიარქო სხვა ადამიანებსაც გარიყავს და ამოშლის საზოგადოების წევრთა სიიდან, — ვკითხულობთ განცხადებაში.

მინდიაშვილის და ამირეჯიბის პირით ისინი საპატრიარქოსგან საგანგებო განმარტებების მიცემას ითხოვენ.

— მოვითხოვთ, საპატრიარქოს მესვეურებმა განგვიმარტონ, თუ რა ნიშნით არჩევენ ისინი საზოგადოების წევრებს არაწევრებისგან და მიაჩნიათ თუ არა, რომ მათი კომენტარი არის საზოგადოების გახლეჩისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი? — კითხულობენ ამირეჯიბი და მინდიაშვილი.

საპატრიარქოს მსგავსად, მათ რისხვას ვერც პოლიტიკოსები გადაურჩნენ. შავ სიაში ნაციონალური მოძრაობის წევრებიც მოხვდნენ.

— საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელმაც კათალიკოს-პატრიარქს საჯაროდ კითხვებით მიმართა, დეპუტატებისა და პოლიტიკოსების მხრიდან სიტყვიერი აგრესიის ობიექტად იქცა. დაუშვებელია, რომ სეკულარულ-სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიტიკოსები კონფესიურ ბრალდებებს უყენებდნენ ადამიანებს და ამით ცდილობდნენ მათ მარგინალიზაციას. „ესენი ერთი მუჭა მწვალებლები არიან“, აცხადებს გია ცაგარეიშვილი. „ამ კითხვებით ისინი პატრიარქის მოკვლას ცდილობდნენ და ამიტომ ხალხმა უნდა იცოდეს ყოველი ხელისმომწერის გვარი“, — მხარს უბამს მას ნინო ბურჯანაძე. შალვა ნათელაშვილი კი ხელისმომწერების სამართლებრივ დევნას მოითხოვს. ქრისტიან-დემოკრატები ეკლესიის წინააღმდეგ ახალ, ფართომასშტაბიან შეტევაზე საუბრობენ. ე.წ. მართლმადიდებელი ექსტრემისტების აგრესიულობას თუ გავითვალისწინებთ, მიხეილ მაჭავარიანმა ჩვენი ლინჩის წესით გასამართლება საკმაოდ აკადემიურად მოითხოვა: „პატრიარქი და საპატრიარქო ყველაფერს თვითონ მოუვლის“.ჩვენ ვაპროტესტებთ ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან მართლმადიდებლობითა და პატრიოტიზმით მანიპულირებას პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად. აღნიშნულმა პროცესმა საქართველოში უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო, რამაც შეიძლება მძიმე შედეგები გამოიწვიოს. ვთვლით, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტების კლერიკალიზაციას და პოლიტიკოსების მხრიდან მართლმადიდებლურ-პატრიოტული სლოგანების გამოყენებით საზოგადოებაში სიძულვილის გაღვივებას კონკრეტული ადამიანების მიმართ, — ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

თავისი პოზიცია დააფიქსირა გუშინ ამ სკანდალების მთავარმა გმირმა თეა თუთბერიძემაც. პატრიარქისადმი გაგზავნილ კითხვებს სხვებთან ერთად ისიც აწერს ხელს.

თეა თუთბერიძე საზოგადოების რეაქციით აღშფოთებულია. განსაკუთრებით კი საპატრიარქოს პოზიცია ანერვიულებს. უფრო სწორედ საპატრიარქოს პასუხით შეურაცყოფილი.

— საპატრიარქოს პასუხი იყო ცინიკური, — განაცხადა თეა თუთბერიძემ.

გუშინდელ განცხადებას როგორც წესი მალევე გამოეხმაურნენ პოლიტიკოსები. ოპოზიციის მტკიცებით საპატრიარქოს წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის უკან ხელისუფლება დგას.

არადა საპატრიარქოს წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას როგორც ამბობენ ხელისუფლების შტოებს შორისაც იწვევს დაპირისპირებას.

გულიკო ბალაძე

# სენსაციური ჩვენება ირაკლი დოკვაძის საქმეში

## ელზა გულიაშვილის დების დაკითხვამ შეიძლება ყველაფერი შეცვალოს

**გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში ეკა არეშიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ყოფილი პოლიტპატიმრის, ირაკლი დოკვაძის, სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად სდებენ 25 აპრილს ფალიაშვილის №90-ში მცხოვრებ გოჩა კვირჭიშვილისა და ელზა გულიაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობას.**

გუშინდელ და წინა სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ დაზარალებულ ელზა გულიაშვილის დები, რომლებმაც საქმის არსი მთლიანად შეცვალეს.

25 აპრილს ელზას ორი და კვირჭიშვილების ოჯახში მივიდა და პირველებმა მათ ნახეს დაჭრილი ელზა გულიაშვილი. შესაბამისად, მათი ჩვენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დების სენსაციურ ჩვენებას წინ უძღოდა პროკურორ ბაჩიაშვილსა და ელზას დების კამათი. სხდომის დაწყებამდე ელზა გულიაშვილის და მეგი გულიაშვილი დარბაზში ამბობდა: „ყველას ვაჩვენებ, მკვლელი ვინ არის! მკვლელი ვინ არის, ნახავენ!“

ამაზე პროკურორი ბაჩიაშვილი გამოეპასუხა:

— ვის გულისხმობთ?

— ყველას, — უპასუხა მეგი გულიაშვილმა, — ერთი თქვენ გიზით გვერდით (კვირჭიშვილის ადვოკატზე მიუთითა). ჩემს ადგილზე იყოს ყველა, ვინც სადისტ ოჯახს გვერდით დაუდგება.

— რას ამბობთ, რა გინდათ? — ჰკითხა პროკურორმა მეგი გულიაშვილს.

— დოკვაძე რა შუაშია, მე მკვლელი მაინტერესებს.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე პროკურორმა დაადასტურა, რომ გოჩა კვირჭიშვილი ისრაელში გაემგზავრა. სასამართლოზე მსხდომთა გაკვირვება გამოიწვია იმის გაგებამაც, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ პატრიარქის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ წერილში ხელმომწერთა შორის ირაკლი დოკვაძეს გოჩა კვირჭიშვილიც აღმოუჩენია. ალბათ საპარტრიარქოსთვის 600 ათასი დოლარის წართმევა ეცოტავა და ახლა პატრიარქის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაშიც მონაწილეობს ისრაელიდანო. როგორც ჩანდა, კვირჭიშვილის ისრაელში გამგზავრების შესახებ მოსამართლემაც არაფერი იცოდა.

გულიაშვილის დის დაკითხვამდე, დაკითხეს ალექსანდრე გრადოვი, რომელიც მშრალ ხიდთან ნათურებით, ბატარეებით და მსგავსი საქონლით ვაჭრობს.

გრადოვმა განაცხადა, რომ არ ახსოვს, რომელ რიცხვში მივიდა მასთან ირაკლი დოკვაძე, სამაგიეროდ, ახსოვს, რომ იყო შუადღე, დაახლოებით 12 საათი. გრადოვი და დოკვაძე ნახევარი საათი საუბრობდნენ. დოკვაძემ შეუკვეთა ფანრის ნათურა, რომელიც იმ მომენტში არ ჰქონდა. მოგვიანებით გრადოვმა ნათურა მიიტანა, მაგრამ დოკვაძე მასთან აღარ მისულა.

დოკვაძე თავის ჩვენებაში ამბობს, რომ კვირჭიშვილთან ყოფნის შემდეგ პირველად სწორედ გრადოვთან მივიდა.

— მე გამიკვირდა, რომ არ მოვიდა, რადგან ეს საქციელი მისას არ ჰგავდა, — თქვა გრადოვმა.

— როგორ გამოიყურებოდა დოკვაძე, როცა თქვენთან იყო?

— ის საუბრობდა წყნარად, ჩუმად, არავითარი აღელვება არ შემიმჩნევია.

გრადოვმა დააზუსტა, რომ ის 10 საათზე მიდის ხოლმე ბაზრობაზე და ალაგებს საქონელს. დალაგებაში მას გარკვეული დრო სჭირდება და აქედან ახსოვს, რომ როცა დოკვაძე მასთან მივიდა, ყველაფერი დალაგებული ჰქონდა. ამიტომ თქვა, რომ დღის მეორე ნახევარში იყო დოკვაძე მასთან, 12 საათის შემდეგ.

...

ამის შემდეგ დაიკითხა ელზა გულიაშვილის და, შორენა გულიაშვილი. წინა სხდომაზე მისი და დაკითხეს, რომელმაც სკანდალური ჩვენება მისცა.

შორენა გულიაშვილი:

— ირაკლი დოკვაძეს არ ვიცნობ. გოჩა კვირჭიშვილი არის ჩემი დის ქმარი. 25 აპრილს 11 საათზე ელზას სახლის ნომერზე დავურეკე, რომ ჩვენთან წამოსულიყო, მაგრამ უარი გვითხრა, თქვენ ამოდითო. ბოლო დროს სულ ასე გვეუბნებოდა. ვიღაც მეგობარი ჰყავს გოჩას და თქვენ ამოდითო. მეგობრის დაბადების დღე იყო და არ წამოვიდა. ერთადერთი დასკვნა ისაა, რომ გოჩა არ უშვებდა. შემდეგ კიდევ ველაპარაკეთ და გვითხრა, თქვენ ამოდითო. 4-ს აკლდა 15 წუთი, როცა ფალიაშვილზე ვიყავით.

შორენა გულიაშვილის განცხადებით, ქუჩიდან დებმა ელზას ბევრჯერ დაურეკეს. ელზა თავიდან პასუხობდა. ბოლოს კი ტელეფონი გათიშული იყო. მათ შეეშინდათ, რადგან ელზა ტელეფონს საერთოდ არ თიშავდა. თუ დამუხტული არ იქნებოდა, აფრთხილებდა ხოლმე. როცა მესამე სართულზე ავიდნენ, ბინაში დარეკეს და კარი არავინ გაუღო, უფრო მეტად შეეშინდათ.

შორენამ თავის დას, მეგის, უთხრა, ჩადი მეორე სართულზე და კვირჭიშვილის დედას, იზოს (გაბუნიას) გამოართვი გასაღები.

შორენა გულიაშვილი:

— იზომ თქვა, გასაღები არ მაქვსო. შემდეგ იზო მეგის „პადვალში“ აგზავნიდა, ჩადი, გარაჟში ხომ არ არიანო. მე შემეშინდა და არ მინდოდა, ჩემი და გარაჟში წასულიყო. იქნებ გოჩამ მანქანა გაიყვანაო. მე ის ვიცოდი, რომ მეგი „პადვალში“ არ უნდა წასულიყო. გასაღები ყოველთვის კარებთან ეკიდათ ხოლმე, მაგრამ იმ დღეს იქ არ იყო. შემდეგ გასაღები ნახა და ნელ-ნელა ამოვიდა კიბეებზე, ნელა შეარჭო გასაღები კარებში, მერე გამოიღო, ვერ გავაღეო და ჯიბეში ჩაიდო. ვუთხარი, მე მომეცი და მე გავაღებ-მეთქი. ვნერვიულობდი. მერე კვლავ შეარჭო გასაღები, გააღო და პირდაპირ შევიდა. ვაიმე, შორენა მიშველეო... მეგიმ, როგორც შეეძლო, აიყვანა ელზა და დააწვინა. ტვინი ზემოთ ამოსული ჰქონდა. ვეცადე კბილების გახსნას. ელზამ მუცლისკენ წაიღო ხელი, იზო კი ბალიშს უტენიდა თავქვეშ. წყალი შემოიტანა, ტვინზე დასხმა უნდოდა, ხელი ავუკარი და მეც გადამესხა, ამიტომ დავსველდი. თავქვეშ ბალიშის შეტენვა რად უნდოდა? მერე ეფერებოდა, ელზა, შვილოო. მეგი ყვიროდა, დაგვეხმარეთო. ნათიაც მოვიდა. მერე გავიქეცი, კოვზი მოვიტანე. 15 წუთის შემდეგ გადავიყვანეთ საავადმყოფოში.

ამის შემდეგ შორენა გულიაშვილმა თქვა:

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ იზომ შემოიარა ის სახლი, კარები გამოხურა, თქვა, იქ არავინ არ არისო. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში მკვლელი იქ იყო, ამიტომ ძალიან მეშინოდა. მკვლელი იმ სახლიდან ვერ გავიდოდა, ჩვენ გვერდს ვერ აგვივლიდა. ელზას ეტყობოდა, რომ დაზიანება ახალი მიღებული ჰქონდა, სისხლი ჟონავდა.

— რატომ ფიქრობთ, რომ მკვლელი იქ იყო?

— ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ როცა ვრეკავდით, ზარი გაითიშა. შესასვლელი კარები, როცა შიგნით იყვნენ, შიგნიდან ურდულით იკეტებოდა. ამის ყველაზე ძალიან მეშინოდა. ვგრძნობდი, ვიღაც იყო სახლში. ელზა კარებს არავის გაუღებდა, მისი დების და იზოს გარდა. გოჩას არ უნდოდა გაეღო. გოჩას ძმაკაცებსაც არ გაუღებდა გოჩას თანხმობის გარეშე. როცა შევედი, ყველაფერს თვალი მოვავლე. ყაჩაღობა არ იყო, თორემ გოჩას ოქროს ბეჭედს იქ არ დატოვებდნენ.

მოწმის თქმით, მას დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ელზა გულიაშვილი უფრო მეტად იყო დაზიანებული, ვიდრე მისი მეუღლე, გოჩა კვირჭიშვილი. ეს აზრი მას რესპუბლიკურის ექიმთან საუბრის მერე უფრო განუმტკიცდა.

შორენა გულიაშვილი:

— საავადმყოფოში გოჩას ძმაკაცებმა გოჩა მე არ მანახეს. საინტერესოა, რატომ არ ანახებდნენ ცოლისდებს გოჩას? რატომ არ მანახებდნენ ჩემს სიძეს? ბავშვი რომ მიიყვანეს, პატრული გამოიძახეს და დები გარეთ გამოყარეს. ბავშვს არ გვანახებენ. ელზა ეკრანზე ბავშვს რომ ხედავს, ტირის.

...

შორენა გულიაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ გოჩა კვირჭიშვილის ოჯახი უპირისპირდება ელზა გულიაშვილს და მის დებს. შორენას თქმით, ელზას ყურადღებას არ აქცევდნენ, მკურნალობის ფულს არ აძლევდნენ. დებს ეუბნებოდნენ, თქვენ დაანებეთ თავი ელზას და მას ჩვენ მივხედავთო.

ამ ამბის შემდეგ ელზა გულიაშვილს მანქანა ქმარმა წაართვა.

— ეს მანქანა თავის დროზე თვითონ ელზამ იყიდა. გოჩამ ჯერ ერთ ძმაკაცს გაატანა, რომ ელზას მანქანაში ჩამსხდარიყვნენ, მერე ჩემმა დამ წამოიყვანა მანქანა და გოჩა კვირჭიშვილის ძმაკაცებმა უჩივლეს პოლიციაში, — თქვა მოწმემ, — ერთ პერიოდში წამლისთვის ფული გვჭირდებოდა. არავის არაფერი მოუცია. შხუილამ (მალხაზ მახათაძე — გ.ბ.) გვითხრა, რომ მანქანა მიგვეყვანა. ჩემმა დამ მანქანა რომ მიიყვანა, იზო დახვდა გარაჟში და ცემა დაუწყო.

— რატომ?

— არ ვიცი.

აქ მოსამართლემ ჰკითხა მოწმეს:

— ფიქრობთ, რომ იზო გაბუნიამ იცოდა, იქ რა მოხდა და მართავდა სიტუაციას?

— არ ვიცი.

— წყლის დასხმა იყო თუ რაღაც, თქვენ ფიქრობთ, რომ შეგნებულად აკეთებდა ამას?

— რა თქმა უნდა. არ უნდა სცოდნოდა, ტვინი რომ არის ამოსული, წყალი არ უნდა დაესხა?

— კარების გაღებაც შეგნებულად გააჭიანურა?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. ნათია (ელზას და) ბავშვთან სცემა საავადმყოფოში. თმები დააგლიჯა. თმა შენახული აქვს.

ამ დროს დარბაზში დაიწყო კამათი. კვირჭიშვილის ნათესავმა ქალბატონმა უთხრა ელზა გულიაშვილის დას, მეგის, ცუდად რატომ მიყურებო...მოსამართლემ მათ თავშეკავებისკენ მოუწოდა და კვლავ განაგრძო დაკითხვა.

— თქვენს ოჯახებს შორის დაპირისპირების მიზეზი რა არის?

— დაძაბული სიტუაცია ყოველთვის იყო. გოჩა გვეუბნებოდა, დედაჩემმა მითხრა, 44 წლის ხარ, დაბერდი, ცოლი რაღად გინდა, მე შვილიშვილები მყავსო... როგორ უნდა მიყვარდეს...

შორენა გულიაშვილს კვირჭიშვილების რძალთან დაპირისპირებაზეც ჰკითხეს. მან დაადასტურა, რომ გოჩა კვირჭიშვილი იმუქრებოდა, გავაქრობო.

— მათ დიდი დავა ჰქონდათ შვილიშვილებთან, ბინას არ აძლევდნენ. ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით, რომ საქმე სასამართლომდე მისულიყო. ამ ბავშვებს მამა არ ჰყავდათ, ის ქალი ორ ბავშვს ზრდიდა. გოჩას ვეუბნებოდი, მიეცი-მეთქი. გოჩა ერთხელ დაგვეთანხმა. შეიძლება გოჩამ დედამისს ყველაფერი უამბო. გოჩა ძალიან ხშირად ამბობდა რძალზე, მაგას ბოლო-ბოლო გავაქრობო, მაგრამ ეჭვი მეპარებოდა.

შორენა გულიაშვილი:

— ბებიამ შვილიშვილი ორი კვირის შემდეგ ნახა. მერე ახალშობილი დედას და დეიდებს წაგვართვა. 72 წლის ქალს უფრო კარგად შეუძლია მოუაროს ბავშვს თუ ჩვენ? ელზასთან, რომელსაც თავი გადახსნილი ჰქონდა, დედამთილი იზო გაბუნია შეიპარა. რომ ვუთხარი, ხელები სპირტით დაიმუშავეთ-მეთქი,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# როგორ ვუმკურნალოთ პანდემიურ გრიპს

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ საქართველოში კომპანია „ჰოფმან-ლა როშის“ წარმომადგენელ გიორგი რამიშვილთან

***— ბატონო გიორგი, დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ გავრცელდა განცხადება, რომ H1N1 გრიპის შემთხვევათა მნიშვნელოვანი მატების გამო, გრიპის სიმპტომებით მიმდინარე ყველა შემთხვევა განხილულ უნდა იქნეს, როგორც H1N1 ე.წ. ღორის გრიპი. როგორია ტამიფლუს როლი პანდემიის მკურნალობაში?***

— ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (ჯანმო) და აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ H1N1 გრიპის სამკურნალოდ მხოლოდ 2 მედიკამენტია მოწოდებული და აქედან საუკეთესო პრეპარატად ტამიფლუა მიჩნეული. ტამიფლუ ანტივირუსული მედიკამენტია, რომელიც გრიპის ვირუსზე მოქმედებს, თრგუნავს ვირუსის გავრცელებას ორგანიზმში, რის გამოც იგი მნიშვნელოვნად ამცირებს დაავადების სიმწვავეს, მის ხანგრძლივობას და, რაც მთავარია, საშიშ გართულებებს. მინდა დავძინო, რომ საზოგადოებაში გავრცელებული პრეპარატების უმრავლესობა მხოლოდ გრიპის სიმპტომებს ამცირებს — დროებით ამცირებენ სიცხეს, აყუჩებენ სახსრებისა და კუნთების ტკივილს და სხვა, მაგრამ არ აქვთ უშუალო მოქმედება ვირუსზე. რა თქმა უნდა, ამ პრეპარატებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ გრიპის სიმპტომების შემსუბუქებაში, თუმცა ისინი ვერ ამცირებენ გართულებებს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ტამიფლუთი ნამკურნალევი პაციენტების რაოდენობამ 65 მილიონს გადააჭარბა. ტამიფლუ დაშვებულია 1 წლამდე ასაკის ბავშვებშიც, რაც მისი მაღალი ეფექტურობით, უსაფრთხოებითა და კარგი ამტანობით აიხსნება.

***— ვინ უნდა მიიღოს ტამიფლუ?***

— უმჯობესია, საქართველოშიც ვიხელმძღვანელოთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციებით, რომლითაც დანარჩენი მსოფლიო ხელმძღვანელობს. ამ რეკომენდაციების თანახმად, ტამიფლუთი მკურნალობა, გრიპზე ეჭვის შემთხვევაში მის დადასტურებამდე, მყისიერად უნდა იქნას დაწყებული.

ტამიფლუ ასევე უნდა დაენიშნოთ იმ პაციენტებს, რომელთა დაავადებაც მსუბუქი ან საშუალო სიმძიმისაა, მაგრამ განეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფს:

**65 წელზე მეტი ასაკის პაციენტები;**

**2 წლამდე ბავშვები;**

**ორსულები;**

**ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, მაგალითად: გულსისხლძარღვთა, ფილტვების, ღვიძლის პათოლოგიებით;**

**პაციეტები დიაბეტით. და სხვა.**

ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი თავის ვებგვერდზე კლინიცისტებს ატყობინებს, რომ საავადმყოფოში გრიპით მოხვედრილთა დაახლოებით მესამედი არ მიეკუთვნებოდა რისკ-ჯგუფს, თუმცა, დაავადების სიმძიმის გამო, მოხდა მათი ჰოსპიტალიზაცია. ამიტომ რისკ-ფაქტორის არარსებობა არ არის ანტივირუსული თერაპიის კატეგორიული უკუჩვენება. გადამწყვეტი, ამ შემთხვევაში, კლინიცისტის მსჯელობაა.პაციენტმა, რომელსაც დაენიშნა ტამიფლუ, პრეპარატი აუცილებლად უნდა მიიღოს დაავადების პირველ 48 საათში, რაც შეიძლება ადრე, რომ მაქსიმალური ეფექტი გამოვლინდეს. ტამიფლუს მიღების დაგვიანებამ შესაძლოა მისი ეფექტი შეასუსტოს და გავლენა მოახდინოს დაავადების მიმდინარეობაზე.



***— არის საქართველოში საკმარისი ტამიფლუ?***

— ტამიფლუზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა, ამჟამად ის ხელმისაწვდომია დიდ სააფთიაქო ქსელებში. მედიკამენტის მარაგზე გავლენას გრიპის გავრცელების მასშტაბი განაპირობებს. ტამიფლუს აქტიურად იძენს მოსახლეობა, რათა მზად დახვდეს ეპიდემიას, გარდა ამისა, მსხვილი კორპორაციები და კომპანიები ზრუნავენ თანამშრომლებისთვის, პრეპარატს იძენენ გარკვეული რაოდენობით, იმარაგებენ, რათა მათმა ბიზნესმა, ეპიდემიის შემთხვევაში, შეფერხების გარეშე იფუნქციონიროს. ასზე მეტი ქვეყნის მსგავსად, ტამიფლუს მარაგი საქართველოს მთავრობასაც გააჩნია, რომელსაც ნაციონალური პანდემიური გეგმის მიხედვით გამოიყენებს.

***— გვერდით მოვლენებზე რას გვეტყვით, რამდენად უსაფრთხოა ტამიფლუს მიღება?***

— როგორც გითხარით, ტამიფლუთი უკვე ნამკურნალევია 65 მილიონზე მეტი ადამიანი, მათ შორის დიდი წილი უკავიათ ბავშვებს. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს მრავლისმეტყველი ციფრია. ტამიფლუს, ისევე, როგორც ყველა მედიკამენტს, აღენიშნება გარკვეული გვერდითი მოვლენები. ყველაზე ხშირია გულისრევა და ღებინება, რომელიც იშვიათად — 7-8%-ში ვლინდება და ტამიფლუს საჭმელთან ერთად მიღების დროს თავისით გადის. ტამიფლუს უსაფრთხოება და ეფექტურობა აღიარებულია მსოფლიოში ყველაზე მკაცრი ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებლის, აშშ საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების სააგენტოს (FD\) და ევროპის წამლის სააგენტოს (EME\) მიერ.

***— თქვენ თუ მიგიღიათ ეს პრეპარატი?***

— პირადად მე და ჩემი ოჯახის წევრებს ეს მედიკამენტი გრიპის გამო, მიღებული გვაქვს რამოდენიმე წლის წინ, ამჟამად კი ტამიფლუთი ჩემი 14 წლის დისშვილი მკურნალობს.

# საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა – დამნაშავე სასჯელს საპატიმროს გარეთ იხდის

საქართველოსა და ნორვეგიის მთავრობებს შორის ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე ნორვეგიის სამართლის ექსპერტები საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით საქართველოს სასჯელაღსრულების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა სახის პროგრამებს ახორციელებენ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია სასჯელის - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში. სასჯელის ეს სახე ნორვეგიაში აპრობირებულია და მას საკმაოდ ხშირად იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში თვალნათლივ დევს მუხლი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესახებ, წლების განმავლობაში მას არავინ იყენებდა. სწორედ “ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში” (NORLAG) “ციხის საერთაშორისო რეფორმასთან” (PRI) ერთად იყო პირველი ვინც მსგავსი პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების მხარდაჭერა ჩათვალა პრიორიტეტად. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია საქართველოში დაიწყო მსგავსი სახის სასჯელის გამოყენება, მისი მოხმარების რიცხვი მაინც დაბალია, რასაც ნორვეგიელი ექსპერტები სიახლით ხსნიან და აღნიშნავენ, რომ მისი როგორც სასჯელის აღქმისთვის საზოგადოებას დრო სჭირდება. “დრო სჭირდება იმის გაგებას, რომ საზოგადოებამ გაიაზროს, თუ რა ტიპის სასჯელია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და მიიღოს ის როგორც სასჯელი. ამის გათვითცნობიერებას ჩვენმა ქვეყანამ 20 წელი მოანდომა.” - აღნიშნავს სარა ბროქ-უტნე, ექსპერტი ციხისა და პრობაციის საკითხებში.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა სასჯელის ერთ-ერთი სახეა, რომელიც დამნაშავეს შესაძლოა მხოლოდ მსუბუქი დანაშაულისთვის მიესაჯოს. ფაქტობრივად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა არის ალტერნატივა პატიმრობისა, რაც გულისხმობს გარკვეული ტიპის სამუშაოების შესრულებას ანაზღაურების გარეშე. მსგავსი სახის სასჯელის შეფარდების შემთხვევაში სამუშაოს მოძიება ხდება მერიის ან ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მსჯავრდებულს შეიძლება შეეფარდოს 800 საათის ვადით. დამნაშავე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ასრულებს, მაშინ როცა მას ამის დრო აქვს. მუშაობის შემთხვევაში სამსახურის პარალელურად, მისი დასრულების შემდეგ. “ჩვენი როლი იმაში მდგომარეობს, რომ ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება ამ მიმართულებით. მივაწოდოთ ინფორმაცია მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს და პრობაციის სამსახურს, ანუ პირადად იმ ავტორებს, ვინც ჩართულები არიან ამ სფეროში“. – აღნიშნა ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ექსპერტმა ციხისა და პრობაციის საკითხებში სარა ბროქ-უტნემ. მისი განცხადებით, ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) ერთად ისინი ხშირად ჩადიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ერთად უყრიან თავს პრობაციის სფეროში მომუშავე ადამიანებს, აცნობენ ინფორმაციას და უზიარებენ იმ გამოცდილებას, რაც უცხოელმა ექსპერტებმა ამ მიმართულებით დააგროვეს. სარა ბროქ-უტნეს განმარტებით, (NORLAG) “ციხის საერთაშორისო რეფორმასთან” (PRI) ერთად არის პირველი, ვინც აღნიშნული თემატიკა წინა პლანზე წამოწია და დაიწყო დისკუსია. PRI - ის მცირე გრანტების პროექტების კოორდინატორის მაია ხასიას განცხადებით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ციხეების განტვირთვის თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო საშულებაა. ”რა თქმა უნდა, ეს არ უკავშირდება მხოლოდ ციხეების გადატვირთულობის პრობლემას, ამავე დროს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ალტერნატივა დამნაშავე დასაჯოს სხვა ალტერნატიული უფრო მსუბუქი სასჯელით.” – აღნიშნავს მაია ხასია. ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის უფროსი პროკურორი საქართველოში სტეინ ვალე ყურადღებას ამახვილებს ბრალდებულებზე, რომლებსაც შეიძლება მიესაჯოთ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. მისი განცხადებით, საქართველოში, ისევე როგორც ნორვეგიაში აქცენტი 3 ჯგუფზე კეთდება: არასრულწლოვნები, ნარკომანები და ადამიანები, რომელთაც განმეორებით ჩაიდინეს დანაშაული. ექსპერტის ციხისა და პრობაციის საკითხებში სარა ბროქ-უტნე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას სამი მიმართულებით ახარისხებს. მისი თქმით, ამ ტიპის სასჯელს სამი ძირითადი მიზანი და შედეგი აქვს: დამნაშავე ჩადენილი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს საპატიმროს გარეთ, ამავე დროს სასჯელის აღსრულებაში ჩართულია მუნიციპალიტეტი ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და დამნაშავე საზოგადოებას თავისი შრომით უხდის ბოდიშს იმ დანაშაულისთვის რაც მან ჩაიდინა საზოგადოებისა თუ გარკვეული ჯგუფის წინაშე.

სარა ბროქ-უტნეს სასჯელის ამ ფორმას ნორვეგიაში ძალიან წარმატებულს უწოდებს. “ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი სასჯელი ძალინ წარმატებულია ნორვეგიაში. სტატისტიკამ და საზოგადოებრივმა კვლევებმა აჩვენეს, რომ მსჯავრდებულები, რომლებიც იხდიან საზოგადოებრივ სასჯელებს, დანაშაულს ხელმეორედ აღარ ჩადიან.” ნორვეგიელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროცესი საქართველოში ძალიან საინტტრესოდ მიმდინარეობს. “ფაზა, რომელსაც ახლა თქვენ გადიხართ ძალიან საინტერესო, ეს პროცესი ნორვეგიამ 20 წლის წინ განვლო. საინტერესოა როგორ ხდება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანერგვა აქ, საქართველოში. მინდა აღვნიშნო, რომ ამ სახის სასჯელის გამოყენება დროთა განმავლობაში მატულობს, რაც ნამდვილად მისასალმებელია. “- აღნიშნა მან.

რაც შეტხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თბილისის პრობაციის ბიუროს უფროსის ზურაბ ბრეგვაძის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით, ამ წუთისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მისჯილი აქვს 18 პატიმარს. აქედან რვა უკვე დასაქმებულია და სასჯელს თბილისის სხვადასხვა რაიონში დასუფთავების, გამწვანებისა და მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელებით იხდის.

NORLAG-ის და PRI-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ხელშეწყობისთვის რეგულარულად ტარდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრები. მსგავსი სახის რიგით მეხუთე შეხვედრა 27 ნოემბერს თბილისში, ხოლო 24 ნოემბერს კი ქუთაისში გაიმართა.

თბილისში გამართულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს, პროკურატურის, სასამართლოს, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, პრობაციის რეგიონული ბიუროს წარმომადგენლებმა, იურისტებმა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურიდან და არასამთავრობო სექტორიდან, ასევე ორგანიზაცია ‘ციხის საერთაშორისო რეფორმა“-ს (PRI) და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის წარმომადგენლებმა (NORLAG).

სამუშაო ჯგუფმა განიხილა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების მდგომარეობა, ასევე აღნიშნული სასჯელის ეფექტურობის ამაღლების გზები და პერსპექტივები. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის უფრო ფართოდ გამოყენების მიმართ ყველა მონაწილე მხარის ნდობის გამყარება.

*ირინა მაჩურიშვილი*

# სააკაშვილს უნდოდა, საბჭოთა უშიშროებაში ემსახურა

**ხელისუფლება საკადრო ცვლილებებს კვლავაც აქტიურად განაგრ ობს. არჩევნების წინ ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. განათლების მინისტრი ნიკა გვარამია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა შეცვალა. ასევე საუბარია თავდაცვის მინისტრის ბაჩო ახალაიას ჩანაცვლებაზეც. საზოგადოებას შევახსენებ, რომ ახალაიას ამ პოსტზე დანიშვნას უცხოეთის საკმაოდ დიდი გაღიზიანება მოჰყვა. თუ ვინ შეცვლის ბაჩო ახალაიას, ეს ჯერჯერობით უცნობია. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები ექსპერტმა პაატა ზაქარეიშვილმა გაგვიზიარა.**



ნონა ცაბა ე

— ჩვენი ხელისუფლება მუდმივად ამას აკეთებს, არ ჰყავთ კადრები და ამიტომ ხდება ხშირი ცვლა, ვერ იკმაყოფილებენ თავიანთ ამბიციებს, როგორც ჩანს. ის ფაქტი, რომ ნიკა გვარამიას საერთოდ უშვებენ საზღვარგარეთ და არანაირ თანამდებობას აღარ აძლევენ, მე მგონი, ადასტურებს იმას, რომ მან ვერ გაამართლა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგან გადაიყვანდნენ. მათ პიროვნებები არ სჭირდებათ ხელისუფლებაში და მთავრობას შეავსებენ უცნობი ადამიანებით. გვარამიას თავისი პრინციპები და პოზიციები ჰქონდა, ამიტომ ვერ ჯდებოდა მათ კონტექსტში.

***— ეს ცვლილებები არჩევნების მოახლოებას ხომ არ უკავშირდება?***

— რა თქმა უნდა, საქართველოში ყველაფერი კეთდება არჩევნებისთვის, სააკაშვილის ყველა ქცევა მიბმულია არჩევნების კონტექსტში. განათლების სამინისტროში ეტყობა სერიოზული პრობლემები აქვთ, ნახეთ, ვინ დანიშნეს, დიმიტრი შაშკინი დანიშნეს მინისტრად, ადამიანი, რომელსაც ციხეებში მუშაობის გამოცდილება აქვს. როგორც ბაჩო ახალაია გადაიყვანეს თავდაცვის სამინისტროში, რათა თავდაცვის სამინისტრო ექციათ ჟანდარმერიად, სკოლებშიც, როგორც ჩანს, მეტი წესრიგი სჭირდებათ, ვიდრე განათლება. როცა ლომაია იყო მინისტრი, მაშინ სკოლებში წესრიგი იყო და ნაკლები განათლება, ნოდიამ განათლებას შეუწყო ხელი და წესრიგი მეორე პლანზე გადავიდა...

***— და ახლა, არჩევნების წინ, მეტი მობილიზაცია სჭირდებათ სკოლებში?***

— არჩევნების წინ უნდათ, რომ მასწავლებლები დარაზმონ, რათა ხმები არ დაკარგონ. ეტყობა, გვარამია ამის გამკეთებელი არ იყო; ეტყობა, ბუნებით უფრო რბილი ადამიანია და მას გაუჭირდებოდა დირექტორებისა და მასწავლებლების დაშანტაჟება.

***— შაშკინი ამას გააკეთებს?***

— ეტყობა, გააკეთებს, შაშკინმა შესაძლოა თავის ხალხი მიიყვანოს იქ, ისეთები, ვინც ამის გამკეთებლები იქნებიან. როგორც წესი, ასეთ ბინძურ საქმეებს პირველი პირები არ აკეთებენ. პირველი პირები არიან ე.წ. გარანტორები, რომ მათ ხელქვეითებს არაფერი არ მოუვათ თუ ისინი ბინძურად და თავხედურად მოიქცევიან. ის, ვინც შაშკინს ენდობოდა ციხეებში, შეიძლება გადაყვეს მას განათლების სამინისტროში და ციხეებში მიღებული უნარ-ჩვევები განახორციელონ სკოლებში და შაშკინი იქნება მათი გარანტორი, რომ მათ არაფერი მოუვათ.

***— რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, ისიც ერთ-ერთი ახალი მინისტრია, როგორ ფიქრობთ, ვერც მან გაამართლა ხელისუფლების იმედები?***

— ბაჩო ახალაიამ ძაანაც რომ გაამართლა ხელისუფლების იმედები. სააკაშვილი ალბათ, ოცნებობს, ნეტავი ასეთი ბაჩო ახალაიები ბევრი მყავდესო. ღვთის მადლით, არა ჰყავს ბევრი და საქართველოში ასე ყველაფრის მკადრებელი ადამიანები ცოტანი არიან. ბაჩო ახალაიას მიმართ ძალიან დაძაბული და მიუღებელი პოზიციები აქვს უცხოეთს, მათ კარგად იციან მისი ისტორია, იციან, რომ ისიც და მისი ძმაც და, საერთოდ, ახალაიების კლანი ეჭვმიტანილები არიან და ბრალდებათ მკვლელობებიც კი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ალბათ, ეს ყველაფერი გამოაშკარავდება. ეს კრიმინალური ჩრდილი მას ყველგან დაჰყვება. უცხოეთში ასეთი წარსულის მქონე პიროვნებას სამსახურიდან უშვებენ, ჩვენთან კი, პირიქით, აწინაურებენ. ყველაზე დიდი მიუღებლობა, რაც დასავლეთს ჰქონია ამ ბოლო წლების განმავლობაში, ეს იყო ბაჩო ახალაიას დანიშვნა ამ თანამდებობაზე. სააკაშვილი, ალბათ, გრძნობს ამას და ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს უცხოეთს. სააკაშვილს ბოდიში და სულ ფეხებზე ჰკიდია ქართველებისთვის რამდენად მიუღებელია ბაცო ახალაია, მას ის აღელვებს, რომ დასავლეთისთვის აღმოჩნდა მიუღებელი. პრობლემაა უცხოეთი, რადგან იქიდან მოდის ფული, იქიდან მოდის მხარდაჭერა და ამიტომ შეიძლება იძულებული გახდეს სააკაშვილი, სხვა ვინმე ჩაანაცვლოს, თუ ვინ, ეს ჩემთვის უცნობია.

***— უცხოეთის მხარდაჭერა ახსენეთ და ჩვენს ხელისუფლებას დიდად აღარ სწყალობს დასავლეთი...***

— 7 ნოემბრის შემდეგ დასავლეთის დამოკიდებულება აბსოლუტურად შეიცვალა, ეს ყველაფერი კი დასრულდა 8 აგვისტოს მოვლენებით. ყველა მიხვდა, რომ სააკაშვილი და მისი რეჟიმი არის აბსოლუტურად მიუღებელი და არადემოკრატიული და არაფერი საერთო დასავლეთთან მათ არ აქვთ.

***— ჩვენი ხელისუფლება პოლიტიკურ ბრძოლაში ყველანაირ ხერხს მიმართავს, ამ რამდენიმე დღის წინ პატრიარქს უკვე მეორედ შეეხნენ, რამდენად გამართლებულია ამ მეთოდებით ბრძოლა?***

— არც ამ მეთოდებით არის გამართლებული და არც სხვა მეთოდებით. არანაირი მეთოდებით არ არის გამართლებული საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული და პატივსაცემი ადამიანის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორიც არის საქართველოს პატრიარქი. ის ფაქტი, რომ თია თუთბერიძემ გამოიტანა საარქივო მასალები და ვითომ კერატიშვილთან დაპირისპირება შექმნა და მოინდომა პატრიარქისთვის ჩრდილის მიყენება, მეტყველებს იმაზე, რომ ეს არ არის მხოლოდ თუთბერიძის ინიციატივა. შეუძლებელია მას ეს მასალები ჰქონოდა, ეს მასალები უშიშროების არქივიდან აშკარად ხელისუფლებამ მიაწოდა მას. თია თუთბერიძე აქ არაფერ შუაშია, პატრიარქს ებრძვის ნაციონალური მოძრაობა, ცალსახად და მკაფიოდ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ პატრიარქი ძალიან დიდი ავტორიტეტია; იმიტომ, რომ პატრიარქმა თავის თავს უფლება მისცა შეეფასებინა აგვისტოს მოვლენები, მან მკაფიოდ და ცხადად თქვა, რომ აგვისტოს მოვლენების თავიდან აცილება შეიძლებოდა და გემის კაპიტანს შეადარა პრეზიდენტი, რომ გემის კაპიტანმა გემი შეახეთქა კლდეს. ეს ცალსახა მინიშნება იყო, რაც ასე არ მოეწონათ თუთბერიძის დამკვეთებს და მის უკან მდგარ ხალხს. ამიტომ დაიწყეს პატრიარქის წინააღმდეგ ასეთი გააფთრებული ბრძოლა. მათ იციან, რომ პატრიარქის სიტყვას ძალა აქვს და რაკი პატრიარქმა დაუშვა და თქვა, რომ აგვისტოს მოვლენების თავიდან აცილება შეიძლებოდა და საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის ამაში, გარდა რუსეთისა, რა თქმა უნდა, სწორედ ამან გაამწარათ. სწორედ ამიტომ უნდათ მოახდინონ პატრიარქის დისკრედიტაცია, მაგრამ ეს არ გამოუვათ, მარტო პატრიარქში კი არ არის საქმე, ესენი ებრძვიან მთლიანად ეკლესიას და მართლმადიდებლობას. ამ ბეჩავებმა ისიც კი არ იციან, რომ რაც უფრო ებრძვი ეკლესიას, უფრო აძლიერებ მას. ეკლესიასთან ბრძოლა წინასწარ წაგებულია, ნებისმიერი შეტევა ეკლესიაზე იწვევს დამარცხებას იმ ძალისას, ვინც ამ შეტევას ახორციელებს. იმდენად არაკვალიფიციურები და არაკომპეტენტურები არიან, რომ ესეც კი არ იციან. ჩვენი ხელისუფლება ისევ საბჭოთა კავშირში ცხოვრობს. მე სრულებით არ მაინტერესებს, ვინ არის კირილე, თუ რუსეთის პატრიარქით უნდათ საქართველოს პატრიარქის დისკრედიტაცია, ეს არის სასაცილო. საქართველოს პატრიარქი ძალიან დიდი ხანია, რაც პატრიარქია და ის ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. რისი მინიშნება უნდათ ამ პრიმიტივებს, მე არ ვიცი. არ მესმის, რა პარალელებს ავლებენ!

***— თითქოს ორივე პატრიარქი უშიშროების მიერ არის დასმულიო...***

— სააკაშვილთან რატომ არ ავლებენ პარალელებს და მასზე რატომ არ საუბრობენ, მიხეილ სააკაშვილი ემზადებოდა ყოფილიყო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, მანამ, სანამ საბჭოთა კავშირი თავზე არ დაემხო, მხოლოდ ამის შემდეგ დაანება თავი. ის მსახურობდა უშიშროების ჯარებში და ემზადებოდა იმისთვის, რომ უშიშროების ოფიცერი ყოფილიყო, ამაზე რატომ არ ლაპარაკობენ?!

***— ე.ი. თქვენც ფიქრობთ, რომ ამ ჯგუფის უკან ხელისუფლება დგას?***

— რა თქმა უნდა, მათი ერთადერთი მიზანი არის, რომ პატრიარქის ძალიან დიდი ავტორიტეტი დაანგრიონ საქართველოში. ეს არის მათი პრობლემა და ამოცანა და ყველანაირი მეთოდებით ცდილობენ ამას. არაფერი გამოუვათ, შეუძლებელია ეკლესიას ებრძოლო, ეს არის აბსურდი. ქრისტე რომ ჯვარე გააკრეს, ამით ვინ მოიგო?! ქრისტიანობა ასეა, რაც უფრო მეტს ებრძვი, ამით უფრო აძლიერებ მას. ესეც არ იციან ამ პრიმიტივებმა, ასე რომ, მათ არაფერი გამოუვათ.

# ბელორუსი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე ვერ დაიყოლიეს

თეა მარხვა ე

**ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარა. ამ დროის განმავლობაში რუსეთმა ბევრი იწვალა, მაღიარებლები რომ ეპოვა, მაგრამ დიდ წარმატებას ამ საქმეში ვერ მიაღწია; ცხინვალისა და სოხუმის აღიარებლად მან მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა იპოვა, დანარჩენების დამუშავება კი ისევ მიმდინარეობს.**

თბილისში მიაჩნიათ, რომ რუსეთი ამ ამბავში ბევრ თანამოაზრეს ვერ იპოვის. აფხაზებს და ოსებს კი სჯერათ, რომ მათ დამოუკიდებლობას ყველა, მათ შორის, საქართველოც აღიარებს.

რუსებს აფხაზების და ოსების პოტენციურ მაღიარებლად მიაჩნიათ ბელორუსი. აღსანიშნავია, რომ ოსები და აფხაზები ლუკაშენკოს აღიარებას ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე სთხოვდნენ.

ბელორუსს პოზიცია რომ არ შეეცვალა, ორტეგასა და ჩავესსზე ადრე სოხუმს და ცხინვალს ალბათ ლუკაშენკო აღიარებდა. ამ კაცს ალბათ კარგად ახსოვს, თუ როგორ უპირებდნენ ჩვენებურები ფერადი რევოლუციის მოწყობას. ბელორუსიელი ოპოზიციონერების დასახმარებლად მინსკში ჩვენებური ნაციონალების ჯგუფი გაემგზავრა. ისინი იქაურმა სამართალდამცავებმა მინსკის აეროპორტშივე დააკავეს და სასტუმროში გამოკეტეს. ჩვენი დეპუტატები რამდენიმე დღის შემდეგ დაგვიბრუნდნენ სამშობლოში.

ლუკაშენკოს მისამართით ჩვენი ხელისუფლება მაშინ ათასგვარ საშინელებას ამბობდა. ფაქტიურად აღარ დარჩა სალანძღავი ეპითეტი, რომელიც მისი მისამართით არ იხმარეს.

ერთ მშვენიერ დღეს კი გავიგეთ, რომ საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი მინსკს ეწვია, სადაც ლუკაშენკოს შეხვდა. რაზე ისაუბრეს მერაბიშვილმა და ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმა, არავინ იცის. სამაგიეროდ, იმ დღის შემდეგ ნაციონალებს ლუკაშენკოზე ძვირი აღარ დასცდენიათ.

ლუკაშენკოს ლანძღვას თავი დაანება დასავლეთმაც. ამის პარალელურად მოსკოვსა და მინსკს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გაცივდა. არადა, ადრე ლუკაშენკო რუსეთთან ერთად ერთ სახელმწიფოში აპირებდა ცხოვრებას.

ახლა ის ევროპისკენ იყურება, ოღონდ ისე, რომ რუსეთს ზურგი მთლად არ შეაქციოს. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხიც სათავისოდ კარგად გამოიყენა.

მოსკოვი მინსკთან აღიარების თემაზე სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. როგორც ამბობენ, თითქმის დაითანხმეს კიდევაც ლუკაშენკო აღიარებაზე. ამის სანაცვლოდ მოსკოვი მინსკს გარკვეულ ფინანსურ დახმარებასაც დაჰპირდა. ფინანსური დახმარება მინსკს ევროპამაც შესთავაზა, ოღონდ არაღიარების სანაცვლოდ.

იქედან მოყოლებული, ლუკაშენკოს აღიარება-არაღიარებაზე საბოლოო პასუხი არ უთქვამს. როცა ძალიან შეაწუხეს, თქვა, ჯერ ახალი პარლამენტი ავირჩიოთ და მერე დაიწყოს ამ საკითხის განხილვაო.

ბელორუსის ახალი პარლამენტი მუშაობას აპრილში შეუდგა. მოსკოვი, სოხუმი და ცხინვალი მოუთმენლად ელოდნენ, როდის დაიწყებდა ახალი პარლამენტი მუშაობას. გავრცელებული ცნობით, აღიარების საკითხი პირველივე სხდომაზე უნდა განეხილათ.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ბელორუსი კი საბოლოო პასუხს არ იძლევა. ცოტა ხნის წინ საქართველოში ბელორუსი დეპუტატების დელეგაციაც ჩამოვიდა. დეპუტატები სამ ჯგუფად დაიყვნენ. ერთმა ჯგუფმა თბილისში გამართა შეხვედრები, მეორემ — სოხუმში, მესამე კი ცხინვალს ეწვია.

ის დეპუტატები ახლა უკვე სახლში არიან. თუმცა, უახლოეს მომავალში ბელორუსის საკანონმდებლო ორგანო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხს არ განიხილავს. როგორც ირკვევა, დეპუტატებს აღიარების საკითხთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო პოზიცია არა აქვთ ჩამოყალიბებული.

— აღიარების საკითხი არ არის უბრალო. წარმომადგენელთა პალატას ნებისმიერ დროს შეუძლია შეიტანოს ის დღის წესრიგში და აქ არანაირი პრობლემა არ არსებობს. სხვა საქმეა, რომ დღეს ბელარუს პარლამენტარებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხისადმი, — განაცხადა გუშინ ბელორუსის ეროვნული კრების წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ ვლადიმერ ანდრეიჩენკომ.

# სენსაციური ჩვენება ირაკლი დოკვაძის საქმეში

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ახალი დაბანილი მაქვსო. შემდეგ ელზას დაემართა მენინგიტი. მისი ბრალი იყო, მენინგიტი რომ დაემართა. ნათესავები ჩაერივნენ საქმეში, მაგრამ მათ ისინი სახლიდან გამოყარეს. პროკურორს ვეუბნები, ერთი და იგივე ადგილზე დაგიდგები და ჩაქუჩი, რომელიც მიდის თავისკენ, ერთსა და იმავე ადგილზე თუ მოხვდება-მეთქი. ნახეთ. ელზას ერთსა და იმავე ადგილზე აქვს დანარტყამი. ანუ ელზას ერთი ვიღაც აკავებდა, მეორე კი ურტყამდა. მას ხელიც დაზიანებული აქვს.

მერე მოწმე შებრუნდა ირაკლი დოკვაძისკენ და ჰკითხა:

— მითხარით, ვინ აკავებდა ჩემ დას?

— მე რომ ბოლომდე დავრჩენილიყავი, ალბათ, ეს არ მოხდებოდა, — უპასუხა დოკვაძემ.

— თუ ეს კაცი არის მკვლელი, გარეთ არიან შემკვეთები, — თქვა მოწმემ.

...

შორენა გულიაშვილმა ისაუბრა კვირჭიშვილების მიერ მათი ფულის მითვისებაზე. მანქანის წართმევაზე დაამატა, მანქანა იმიტომ მიუყვანეს კვირჭიშვილს, რომ წამალს შეჰპირდნენ. მაგრამ როცა მიუყვანეს, უთხრეს, დააგვიანეთ და წამალს ვერ მიიღებთო.

გარდა ამისა, მოწმემ თქვა, რომ თავდასხმის წინა დღეს ელზა გულიაშვილის ანგარიშიდან 5.000 ლარია გამოტანილი, რაც ელზას მისი დებისთვის არ უთქვამს.

მოწმეს მოსამართლემ ჰკითხა:

— ამ ხნის მანძილზე ელზას შვილი არ უნახავს?

— არა, არცერთხელ. საავადმყოფოში ბავშვს ჩვენ ვპატრონობდით. ორ კვირამდე ბებიაც არ ნახულობდა.

— ელზას რაიმე ხომ არ უთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით?

— თავისი აზრები ელზამ თვითონ თქვას, როცა ამის საშუალება იქნება.

— რაიმე აზრს გამოთქვამს? თავისი სათქმელის თქმა შეუძლია?

— დღეს არ შეუძლია, მაგრამ მერე ექნება საშუალება, რომ თავისი სათქმელი თქვას.

შემდეგ შორენა გულიაშვილმა დააზუსტა, რომ მკვლელი ან სახლში იყო, ან სადარბაზოში. როცა ისინი იქ იყვნენ, მკვლელი სადარბაზოდან გასული არ იყო. ეგონა, რომ გოჩა იყო სადღაც.

— ვიღაც ძალიან ახლობელი იყო გოჩასი, ვინც ეს ჩაიდინა, რომელმაც გოჩა ვერ გაიმეტა, ჩემი და კი გაიმეტა.

არაერთხელ თქვა მოწმემ, კაცი რომელიც სანთლის ფულს მოიპარავს, იმისგან ყველაფერს უნდა ელოდოო.

მოწმე მაშინ აღელდა, როცა ირაკლი დოკვაძემ გოჩა კვირჭიშვილის ჩვენებიდან ერთი ფრაზა გაიხსენა: „მე ნეიროქირურგი ვარ და ვიცი, ელზა ვერასოდეს გამოვა მდგომარეობიდან და ვერასოდეს დაკითხავთ".

— თუ ეს თქვა, ჩათვალეთ, რომ ელზას მოკვლა სდომია, ასე გამოდის. კაცი, რომელსაც თავისი კედლების გარდა არავინ აინტერესებს, რა უნდა ელაპარაკო. უნდა ვიზრუნოთ, რომ ელზა გამოჯანმრთელდეს.

აქ მოწმეს ჰკითხეს, ამჟამად ელზა გულიაშვილი როგორ მდგომარეობაშიაო.

— ადეკვატურია, — იყო პასუხი.

ამ დროს დარბაზიდან ელზა გულიაშვილის დამ, მეგი გულიაშვილმა თქვა:

— სიმართლე უნდა ითქვას, ელზას სურათები მივუტანე, მათ შორის, ირაკლი დოკვაძის სურათიც იყო. სხვა სურათებზე რეაქცია ჰქონდა, ირაკლი დოკვაძის სურათზე კი — არა. ვკითხე, დოკვაძემ ჩაგარტყა-მეთქი? მიპასუხა, დოკვაძეს არ ჩაურტყამსო. ჩემს სიძეს ნუ ჰგონია, რომ ელზა ვერ იტყვის...

მეგი გულიაშვილის ამ განცხადებაზე მოწმე შორენა გულიაშვილი შემობრუნდა და დას უთხრა, ამას რომ ამბობ, აქედან ხომ უნდა გავიდეთო.

მეგი გულიაშვილის განცხადებით მოსამართლეც დაინტერესდა და ტრიბუნასთან მდგარ შორენა გულიაშვილს ჰკითხა:

— ელზას დოკვაძის სურათზე რეაქცია აქვს?

— არა, არ ჰქონია რეაქცია, — უპასუხა მოწმემ.

— მათ ბინაში რომ ვიყავი, ამას მეც ვაღიარებ, — განაცხადა დოკვაძემ.

შორენა გულიაშვილმა განაცხადა, რომ მათ გოჩა კვირჭიშვილის ეშინიათ. ელზაც შეშინებულია. კარებზე ზარი რომ არის, შიშისაგან რეაქცია აქვს.

— აქ ჩვენების მოსაცემად რომ უნდა წამოვსულიყავით, წინა დღით დაგვირეკეს და გვითხრეს, არ წახვიდეთო, — თქვა მოწმე შორენა გულიაშვილმა.

# ბესლან ბუთბა: არავის მოსყიდვას არ ვცდილობ

**სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ხელმ ღვანელის ე.წ. არჩევნებამდე ოთხი დღე დარჩა. 12 დეკემბერს რეჟიმის მოქმედი ხელმ ღვანელი. „პრეზიდენტი" სერგეი ბაღაფში ან შეინარჩუნებს სავარ ელს, ან კრემლს ახალი მარიონეტი ეყოლება. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოსთვის მნიშვნელობა არ ექნება, თუ რომელი პიროვნება გამოაცხადებს თავს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტად. ამის შანსი კი „დიდ სამეულს" აქვს - სერგეი ბაღაფშს, რაულ ხაჯიმბასა და ბესლან ბუთბას. აფხაზური ორგანიზაციების მონაცემებით, "დიდი სამეულიდან" ყველაზე მეტი მომხრე სერგეი ბაღაფშს ჰყავს. თუმცა, ასე არ ფიქრობს ე.წ. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ბესლან ბუთბა, რომელმაც "მედიანიუსს" განუცხადა, რომ ის დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში.**



— მხოლოდ იმ პირობით შემიძლია საუბარი, რომ არ შევეხებით აფხაზეთის დამოუკიდებლობას და იმ საკითხებს, რომელშიც სოხუმი და თბილისი ვერასოდეს შეთანხმდებიან. ასეთ შემთხვევაში, ინტერვიუ აზრს კარგავს. თუმცა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, საქართველო აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ურთიერთობებს დავიწყებთ ცარიელი ფურცლიდან, როგორც ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტი. თუმცა, ამ თემებზე ნუ ვიკამათებთ.

***— იქნებ მოკლედ გაგვაცნოთ თქვენი ბიოგრაფია.***

— დავიბადე 1960 წლის 7 თებერვალს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჩლოუში. 1983 წელს დავამთავრე მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი და შემდეგ, წლების განმავლობაში მოსკოვის პირველი სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ვიყავი. 1989 წელს დავაარსე კოოპერატივი და სამშენებლო ბიზნესი დავიწყე. 2005 წელს დავაარსე ბიზნეს-კლუბი, რომელიც აფხაზეთის ყველა ბიზნესმენს აერთიანებს. 2002-2007 წლებში ვიყავი პარლამენტის წევრი და საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების კომიტეტს ვხელმძღვანელობდი. სხვათაშორის, ვარ აფხაზეთის ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბის, სოხუმის „ნართის" პრეზიდენტი. ვარ დაოჯახებული და ოთხი შვილი მყავს. 2007 წლის სექტემბერში ამირჩიეს აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის თავმჯდომარედ.

***— არჩევნებამდე ოთხი დღე დარჩა. სხვათა შორის, „მედიანიუსს" ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიაწოდა სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, არც თქვენ და არც რაულ ხაჯიმბას 12 დეკემბერს სერგეი ბაღაფშის დამარცხების შანსი არ გაქვთ.***

— ჩემს საარჩევნო შტაბს სულ სხვა მონაცემები აქვს, რომლის მიხედვითაც, სერიოზული მხარდაჭერა მაქვს სოხუმის, ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის რაიონებში. ეს, ფაქტობრივად, გამარჯვებას ნიშნავს. სხვათა შორის, მხარს მიჭერს გალის რაიონის მოსახლეობაც.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი წარმომადგენლები გალის რაიონის მოსახლეობის მოსყიდვას ცდილობდნენ და თქვენი კანდიდატურისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ, 5000 რუბლს სთავაზობდნენ.***

— აბსოლუტური სისულელეა და ეს, ალბათ ქართულმა სპეცსამსახურებმა მოიგონეს. ეს ინფორმაცია მეც წავიკითხე, რომლის მიხედვითაც, თითქოს მე თუ ხმას მომცემდნენ, 5 წლის განმავლობაში ყოველ თვე 5000 რუბლი უნდა მეხადა. საუბარია ათი ათასზე მეტ ამომრჩეველზე და წარმოიდგინეთ, დაახლოებით 12 ათას კაცს თვეში 5000 რუბლი რომ უხადო. ამის რესურსი არ მაქვს ყველაფერი რომ გავყიდო და ამიტომაც, სრული იდიოტიზმია.

***— დაპირება სხვა არის და პირობის შესრულება სხვა.***

— გარწმუნებთ, არავის მოსყიდვას არ ვცდილობ და არც არასოდეს მქონია მსგავსი მცდელობა.

***— ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენ გავიწროებენ და ოჩამჩირეში განთავსებული თქვენი ოფისი ააფეთქეს კიდეც.***

— გარკვეული ფაქტები მოხდა, მაგრამ ამაზე საუბრისგან ქართულ მედიასთან თავს შევიკავებ, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ არ მოხდება ჩემი სიტყვების ინტერპრეტაცია და ამას ჩემი ოპონენტები ჩემს წინააღმდეგ არ გამოიყენებენ. მაქვს ჩემი საიტი და ბლოგი და შეგიძლიათ, იქიდან მიიღოთ ინფორმაცია.

***— თქვენ ბაღაფშის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზეც საუბრობდით და აცხადებდით, რომ აფხაზური და ჩრდილო კავკასიური მედიასაშუალებები მხოლოდ ბაღაფშის კანდიდატურის აგიტაციით არიან დაკავებულნი.***

— თუმცა, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ 12 დეკემბერს ამომრჩეველი სწორ არჩევანს გააკეთებს. ჩემთვის მთავარია, რომ არ განმეორდეს 2004 წლის მოვლენები, როდესაც არჩევნები ლამის სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა. ეს მხოლოდ საქართველოს შეუწყობს ხელს, რომ თავისი ბნელი ზრახვები განახორციელოს. თუმცა, აფხაზეთის საზოგადოება გაიზარდა და დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ არ მოხდება. უპირველესი კი, სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა და დარწმუნებული ვარ, ამას მივაღწევთ.

***— ისე, ბნელ ზრახვებს ვინ ახორციელებს აფხაზეთში, ალბათ, ყველასათვის ცნობილია.***

— ჩვენ შევთანხმდით, რომ მსგავს თემებზე არ ვისაუბრებდით.

***— რუსები არ ერევიან საარჩევნო პროცესში?***

— ვის გულისხმობთ რუსებში?

***— მათ, რომელთაც საქართველოში საოკუპაციო ძალებს უწოდებენ.***

— სასაცილოა. რუსი სამხედრო მოსამსახურეები და არც უცხოპლანეტელები საარჩევნო პროცესში არ ერევიან. მაგრამ აფხაზეთის მოქალაქეები არიან ეთნიკურად რუსები, აფხაზები, ქართველები, ბერძნები და სომხები და ისინი, რა თქმა უნდა, მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს გვაქვს საერთო საგარეო ორიენტირი, რომლის მიხედვითაც, ჩვენი ქვეყნის მთავარი მოკავშირე რუსეთია.

***— მაშინ რას სთავაზობთ ამომრჩეველს იმისგან განსხვავებულს, რასაც ბაღაფში ან ხაჯიმბა სთავაზობენ.***

— ეწვიათ ჩემ ვებ-გვერდს და გაიგებთ.

***— ცნობილია, რომ სომხურ სათვისტომოს აფხაზეთში დიდი გავლენა აქვს. სხვათა შორის, ამ სათვისტომოს ხელმძღვანელმა ბაღაფშის კანდიდატურას ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი.***

— ცალკეული პიროვნებების განცხადებები არ ნიშნავს სათვისტომოს აზრს.

**მედიანიუსი**

# რა კავშირშია ზამთარი საწვავის გაძვირებასთან

**საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ზამთრის დადგომასთან ერთად, შესა ლოა, საწვავზე ფასებმა მოიმატოს. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის, ვანო მთვრალაშვილის, განცხადებით, უახლოესი ერთი თვის მან ილზე საწვავზე ფასის მატება არ არის ნავარაუდევი, შემდგომი პროცესების განვითარება კი სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.**



შორენა გონგლაძე

***— ბატონო ვანო, რა მდგომარეობაა მსოფლიო სანავთობე ბაზარზე, ხომ არ უნდა ველოდოთ ზამთრის პერიოდში საწვავზე ფასის მატებას?***

— მსოფლიოში ბოლო თვენახევრის განმავლობაში ნავთობზე ფასი სტაბილურად 75 დოლარზე ზევით არის. წლის დასაწყისისათვის ბარელი ნავთობი იყო 35-40 დოლარის ფარგლებში. რაც შეეხება დღეს არსებულ ვითარებას, უნდა ითქვას, ნავთობზე ფასის მატება განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორებით. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის ის, რომ მსოფლიო საფინანსო ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით კეთდება ოპტიმისტური პროგნოზები, განსაკუთრებით დამაიმედებელი ინფორმაციები მოდის აზიური ქვეყნებიდან; მაგალითისათვის, ჩინეთში ბოლო ხუთი წლის მანძილზე დაფიქსირდა სამრეწველო წარმოების ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი, შესაბამისად, ეს მაჩვენებელი განაპირობებს იმას, რომ ჩინეთში ნავთობზე მოხმარება იზრდება. ჩინეთი გახლავთ ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელი ქვეყანა. ის დღეისათვის მეორე ადგილზეა, მან ჩამოიტოვა ინდუსტრიულად განვითარებული ისეთი ქვეყანა, როგორიც არის იაპონია. ნავთობზე მოთხოვნილების ზრდა შეინიშნება ასევე ინდოეთშიც. ზემოხსენებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დაფიქსირება მსოფლიოში ნავთობის მოხმარებაზე დადებითად მოქმედებს. ნავთობის მოთხოვნილების ზრდა პირდაპირ განსაზღვრავს მის ფასს. როდესაც ნავთობზე იყო დაბალი ფასები, ეს განპირობებული იყო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით, რამაც გამოიწვია გლობალურად ნავთობზე მოთხოვნილების შემცირება. აქვე უნდა აღინიშნოს ოპეკის ქვეყნების გადაწყვეტილებები ნავთობის მოპოვების კვოტების შემცირებასთან დაკავშირებით. აქვე დავაკონკრეტებ, რომ დღეისათვის ოპეკის ქვეყნები ყოველდღიურად მოიპოვებენ დამტკიცებული კვოტების მხოლოდ 60 პროცენტს; ეს ნიშნავს იმას, რომ მათ მნიშვნელოვნად შეამცირეს მოპოვება, რაც განპირობებული იყო იმისთვის, რომ ბაზარზე შემცირებულიყო ნავთობის მიწოდება და ამ გზით მომხდარიყო ფასის ხელოვნური ზრდა. ოპეკის ამ გადაწყვეტილებებმა, რა თქმა უნდა, შედეგი გამოიღო და ნავთობზე ფასი პერმანენტულად იზრდება. სავარაუდოდ, მიმდინარე წლის 22 დეკემბრს დაგეგმილ ოპეკის ქვეყნების შეხვედრაზე ნავთობის მოპოვების კვოტებს უცვლელად დატოვებენ. ეს ყველაფერი კი ცალსახად ემსახურება იმას, რომ ნავთობზე შენარჩუნებულ იქნას მაღალი ფასები. აღსანიშნავია, რომ 1 ბარელი ნავთობის ამჟამინდელი ფასები 75 დოლარს ზევით, ოპეკის ყველა ქვეყნისათვის არის მისაღები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ არის შემცირებული აშშ დოლარის კურსი ევროსთან მიმართებაში, რაც თავისთავად განაპირობებს იმას, რომ წახალისებულ იქნეს ნავთობზე ფასის მატება.

***— რაც შეეხება საქართველოს ბაზარს, რამდენად ადეკვატურია აქ არსებული მდგომარეობა მსოფლიო ბაზრის ფასებთან?***

— ხშირად გაისმის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ბაზარი არ არის მიბმული საერთაშორისო ბაზართან, თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარი პირდაპირ არის დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე არსებულ ვითარებასთან. ჩვენი ბაზარი ყოველთვის ადეკვატურად მოქმედებს იმ ცვლილებებზე, რომელიც მსოფლიო სანავთობო ბაზარზე ხდება და ეს ფასების მატებაც დაკავშირებული იყო ნავთობის მსოფლიო ფასის ზრდასთან. ფასების მატების ერთ-ერთი მიზეზი იყო ასევე ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში, ამ პროცესმა საწვავზე ფასი 25-30 თეთრით გაზარდა. რაც შეეხება პერსპექტივას, ბოლო ფასის მატება ჩვენთან ნოემბრის დასაწყისში დაფიქსირდა. ჩვენ უახლოეს პერიოდში საწვავზე ფასის ზრდას არ ველოდებით. როგორც ვიცით, ზამთრის პირობებში ნავთობზე მოთხოვნილება მატულობს. ნავთობის ფასი დამოკიდებული იქნება ასევე ლარის სიმყარეზე.

***— თქვენ დაიწყეთ საწვავის ხარისხის მონიტორინგი, რომელიც, ასე ვთქვათ, პირველი პრეცედენტია საქართველოში, როგორი იყო მონიტორინგის პირველი შედეგები და თუ გაგრძელდება ეს პროცესი?***

— რაც შეეხება საწვავის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს, ნავთობპროდუქტები ყოველთვის არის საზოგადოების ინტერესის საგანი, ამ პროდუქტზე დამოკიდებულია მრავალი ფაქტორი. ერთ-ერთი არის ეკოლოგიური ფაქტორი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში რეალიზებული საწვავი იყოს შესაბამისი ხარისხის. ჩვენ რამდენიმე დღის წინ განვახორციელეთ აზერბაიჯანული საწვავის მონიტორინგი. ეს იყო პირველი პრეცედენტი კომპანიის მიერ გამოთქმული კეთილი ნებისა, როდესაც „სოკარმა" განაცხადა, რომ მზად არის ამ პროცესში მიიღოს მონაწილეობა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც აღვნიშნეთ, აზერბაიჯანულ საწვავთან დაკავშირებით განხორციელებულმა შედეგებმა თავისი გარკვეული სურათი შექმნა. აზერბაიჯანული საწვავი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ეს ხშირ შემთხვევაში დაკავშირებული იყო ნეგატიურ ინფორმაციებთან, რომ ის სხვადასხვა პარამეტრებით არ აკმაყოფილებს ხარისხის შესაბამის მაჩვენებლებს. მაგრამ ჩვენ ცალსახად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში რეალიზებული აზერბაიჯანული საწვავი საქართველოს მოქმედ სტანდარტებს აბსოლუტურად აკმაყოფილებს და რიგი პარამეტრებით ის ევროსტანდარტებსაც კი აკმაყოფილებს. რაც მთავარია, ამ მონიტორინგმა გაფანტა ის ეჭვები და ბრალდებები, რომ საქართველოში შემოდიოდა ტყვიაშემცველი საწვავი, ვინაიდან ლაბორატორიული კვლევის შედეგებით აღნიშნულ საწვავში ტყვია არ აღმოჩნდა. ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია გოგირდი, რომელიც იწვევს გარემოს დაბინძურებას და ეს მაჩვენებელიც ამ საწვავში არის მნიშვნელოვნად დაბალ დონეზეა დაყვანილი. ვინაიდან ეს პრეცედენტი მასმედიისა და საზოგადოების მხრიდან საკმაოდ კარგად იქნა აღქმული და მხარდაჭერილი, ამიტომ ეს პროცესი გაგრძელდება. ჩვენ რეგულარულად მივაწვდით საზოგადოებას აზერბაიჯანული საწვავის ხარისხის შესახებ ობიექტურ ინფორმაციებს.

***— სურვილი ჯერ სხვა კომპანიებს არ გამოუთქვამთ?***

— ჩვენ ვაპირებთ, უახლოეს პერიოდში მივმართავთ სხვადასხვა ცნობილ და ნაკლებად ცნობილ ნავთობკომპანიებს და ვიმედოვნებთ, რომ მონიტორინგის განხორციელების სურვილს ბევრი მათგანი გამოთქვამს.

# საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ევროკავშირის ასოცირებული წევრები გახდებიან

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებს დაიწყებენ „ასოცირების შესახებ" ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

ეს გადაწყვეტილება გუშინ პროგრამა „აღმოსავლეთ პარტნიორობისა" და ევროკავშირის საგარეო მინისტერიალმა მიიღო, რომელიც ბრიუსელში მიმდინარეობს და მას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძეც ესწრება..

— საბჭო მიესალმა ასოცირების ხელშეკრულების შესახებ დირექტივების პროექტის წინადადებებს, რომელთა მიზანი ამბიციური და ყოვლისმომცველი შეთანხმებების მიღწევაა. ეს შეთანხმებები აღემატება მოქმედ ვალდებულებებს, — აღნიშნულია ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს დასკვნაში.

დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირი უახლოეს მომავალში ზემოხსენებულ დირექტივებს დაამტკიცებს.

— საბჭო ხაზს უსვამს პოლიტიკური ასოციაციისა და ევროკავშირში პარტიორი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობას, — მითითებულია დოკუმენტში.

**მედიანიუსი**




X-XIII ს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი



**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

# „მგზავრები“ შიდსის წინააღმდეგ

ეკა ირემაშვილი



მსოფლიო კიდევ ერთხულ გაილაშქრა უკურნებელი სენის — შიდსის წინააღმდეგ. მსოფლიოს 196 ქვეყანაში შიდსის საწინააღმდეგო საქველმოქმედო აქცია გაიმართა, რომელიც გრინვიჩის დროით 13 საათსა და 30 წუთზე მსოფლიოს ქვეყნებში პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცა.

აქციას საქართველოდან ჯგუფი „მგზავრები“ შეუერთდნენ. აქციის მონაწილეებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ლეგენდარული ჯგუფ „ბითლზების“ სიმღერა „ოლ ვი ნიდ იზ ლავ“ თავისებური ინტერპრეტაციით შეასრულეს.

საქველმოქმედო აქციიდან შემოსული თანხა აფრიკაში შიდსით დაავადებულ მოსახლეობას მოხმარდება. რეჟისორი კრის პალმერი შექმნის სპეციალურ ფილმს, რომელშიც გამოიყენებს პირდაპირი ჩაწერის შედეგად მიღებულ ვიდეომასალებს. მათ შორის იქნება საქართველო და ჯგუფი „მგზავრები“. საქართველოს ბრძოლა შიდსის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოსთვის გახდება ცნობილი.

გიგი დედალამაზიშვილი, „მგზავრების“ სოლისტი:

— კარგია, როცა მსოფლიოს 200 ქვეყანას უერთდები და მღერი მსოფლიო ჰიტს, რომელიც სიყვარულს ეძღვნება. „ოლ ვი ნიდ იზ ლავ“ — ეს სრული ჭეშმარიტებაა — ყველა ადამიანს ნამდვილად სიყვარული გვჭირდება. ამ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობით ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატეთ შიდსის პრობლემის და ხალხის გამთლიანების მიმართ.

## დღეს მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართება

დღეს საქართველოს მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართება. მას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის რანგში პირველად დაესწრება. მთავრობის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ჯერჯერობით უცნობია.

მედიანიუსი

# თბილისის კინოფესტივალი დასრულდა

ნატა კობი ე

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელმაც წელს მე-10 საიუბილეო თარიღი აღნიშნა — დასრულდა. ახლა ფესტივალებისა და ხელოვნების მოყვარულებს შეუძლიათ კონსერვატორიაში გადაინაცვლონ, სადაც საახალწლო მუსიკალური მარათონი იწყება. რაც შეეხება განვლილ კინოფესტივალს, ის უკვე გადაშლილი ფურცელია, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

წლევანდელი ფესტივალი ფილმთა სიუხვითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით მართლაც გამოირჩეოდა. ფესტივალის ეგიდით კინოთეატრ „რუსთაველსა“ და „ამირანში“ 100-ზე მეტი ფილმი უჩვენეს მაყურებელს, როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური და ანიმაციურიც კი. შედგა სპეციალური ჩვენებები და მასტერკლასები. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოიხსნა საკონკურსო პროგრამა, რაც აისახა კიდეც საფესტივალო ფილმების ხარისხზე. თუმცა ჟურნალისტებს არ გვქონია შესაძლებლობა, ამ ფილმების ღირსეული მაყურებელი ვყოფილიყავით, რადგან როგორც ხშირად ხდება ხოლმე (სხვა ნებისმიერ ფესტივალზეც), ჩვენ არც „ა“, არც „ბ“ და მით უფრო „ვიაიპი“ კატეგორიას არ მიგვაკუთვნეს და უადგილო, ლამაზად გაფორმებული აკრედიტაციების ამარა დაგვტოვეს. სამაგიეროდ, დიდი პატივით მიგვიღეს პრესკონფერენციებზე, სადაც ძირითადად სარეკლამო ტიპის განცხადებები გაჟღერდა.

საბედნიეროდ, წლევანდელ ფესტივალზე (შარშანდელისგან განსხვავებით) იყო წარმოდგენილი ფილმები, რომლებმაც მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესი და სრული ანშლაგი გამოიწვიეს. უმეტესად ეს ქართული ფილმები იყო, რომელიც წელს ვრცლად წარმოადგინეს. უნდა აღინიშნოს რეჟისორ ნანა ჯორჯაძის ფილმი „ცისარტყელას შემქმნელი“, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, ფინეთში, რუსეთში, ჰოლანდიასა და სხვ. შეიქმნა. თუმცა, ქართველმა მაყურებელმა სცენარისტ ირაკლი კვირიკაძისა და ნანა ჯორჯაძის ერთობლივი ნამუშევარი კრიტიკულად მიიღო, ისევე, როგორც — ევროპელმა. მშობლიურ ქალაქში ავტორების ჩანაფიქრი თანამედროვე ზღაპრის შექმნისა, სადაც გოლიათები და რაინდები ერთმანეთს ებრძვიან, შეიძლება ითქვას, კრახით დასრულდა. ჯორჯაძის ფილმს რაღაც აკლდა, ის უფრო ჩვეულებრივ ამბავს ჰგავდა, ვიდრე ზღაპარს...

როგორც აღვნიშნეთ, წლევანდელი ფესტივალი მრავალფეროვანი იყო არა მხოლოდ მხატვრული პროგრამით. დოკუმენტური სურათებიდან რამდენიმეს მართლაც ინტერესით ელოდა მაყურებელი. მსახიობი ნინო კირთაძე ამ სეგმენტში რეჟისორის ამპულაში მოგვევლინა და ფილმი „ზოგი რამ საქართველოს შესახებ“ შემოგვთავაზა, რომელიც უფრო მეტად ჰგავდა მონოლოგს საქართველოს პრეზიდენტის შესახებ. ფილმის გადაღება რეჟისორმა ომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, ომის შემდეგ კი მისი შეცვლა გადაწყვიტა და ძალზე ცოტა გაუხმაურებელი სიუჟეტით შეავსო. სამაგიეროდ, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა მთავრობის კულუარებში მიმდინარე ამბების ხილვისა, რომელიც აქამდე არავის უნახავს.

საინტერესო იყო შალვა შენგელიას დოკუმენტური ფილმი „უცნობი ჯარისკაცები“, რომელიც ასევე ომს მიეძღვნა, თუმცა არა შარშანდელს, არამედ რამდენიმე წლის წინანდელ აფხაზეთის ომს, რომელმაც არაერთი ადამიანი გაწირა. ფილმმა აფხაზ ბიჭზე მოგვითხრო, რომელმაც ჯარისკაცობა გადაწყვიტა. ის ამისთვის თვეების განმავლობაში ემზადებოდა.

ფესტივალში ამჟამადაც მონაწილეობდა თბილისის გოეთეს ინსტიტუტი გერმანული პროდუქციით. ამ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ფილმი „ჯონ რაბე“, წლის საუკეთესო გერმანულ ფილმად აღიარებული და რამდენიმე პრიზის მფლობელი. თუმცა 1937 წელს იაპონიის მიერ ჩინეთის დედაქალაქის ოკუპაციის შესახებ გადაღებულმა სურათმა უფრო დოკუმენტური კადრების ასოციაცია შეგვიქმნა, ვიდრე მხატვრულისა. რაც შეეხება ფილმს „ოსკარ შინდლერის შესახებ“, ის ტიპური ჰოლივუდური სანახაობა იყო.

ფესტივალი ბრიტანულმა სურათმა „ვერა დრეიკი“ დაასრულა, რომლის რეჟისორი მაიკ ლი თბილისში თავად ჩამობრძანდა და არაჩვეულებრივი მასტერკლასიც ჩაატარა.

# ხალხურ ცეკვაში მასტერკლასები იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ, ფოლკლორის მხარდაჭერის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში მასტერკლასები ამჯერად უკვე ხალხურ ცეკვაში იწყება.

მასტერკლასებს ჩაატარებენ ცნობილი ქორეოგრაფები თენგიზ უთმელიძე, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე და უჩა დვალიშვილი.

ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის რეგიონის რაიონების ხულოს, ქედასა და შუახევის უხუცეს ქორეოგრაფთა ანსამბლების შემოქმედების ჩვენება.

მასტერკლასები ხალხურ ცეკვაში ბათუმში 11 დეკემბრამდე გაიმართება.

**გიორგი უშიკიშვილი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი:**



— ახალგაზრდა ქორეოგრაფებს ნამდვილი პროფესიონალების მიერ აუცილებლად უნდა გავაცნოთ ის გამოცდილება, რაც მათთვის მნიშვნელოვანია მომავალი თაობის სწორად აღზრდაში.

**ფრიდონ სულაბერიძე, ქორეოგრაფი:**



— ნამდვილად დროული და მნიშვნელოვანია მსგავსი მასტერკლასების ჩატარება. ქართული ხალხური ცეკვა ჩვენი საგანძურია, რომელსაც გაფრთხილება და სწორი გზით სვლა სჭირდება. მნიშვნელოვანია ამ საქმეში უხუცესი ქორეოგრაფებისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ასაკოვანი მოცეკვავეების ჩართვა. სწორედ ისინი ფლობენ ქართული ხალხური ცეკვის ჭეშმარიტებას. იმედს ვიტოვებ, რომ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი მსგავს მასტერკლასებს უფრო ხშირად ჩაატარებს, რომელშიც მონაწილეობას პროფესიონალი ქორეოგრაფები მიიღებენ.

# ვინ არის ყველაზე სამარცხვინო ჰიტის ავტორი

დასაწყისი მე-12 გვერდზე



— განახლებული ფილარმონია გახსნილია. მოზარდ მაყურებელთა თეატრში რატომ ატარებთ „მეგას“?

— წელს ცერემონიალი ნამდვილად მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაიმართება და არა — ტრადიციულად ფილარმონიაში. არც ტრადიციული წითელი ხალიჩები და ფეშენებელური სამანქანო ექსკორტები იქნება, რაც ეკონომიკური კრიზის ბრალია, თანაც „მეგას“ არასოდეს სახელმწიფო ხელშეწყობა არ ჰქონია — მათ სხვა უფრო ფეშენ-აქციები აქვთ დასაფინანსებელი და ქართული შოუ-ბიზნესის დესანტი ხელისუფლებაში ნინა წკრიალაშვილის, ნეკა სებისკვერაძის და ნუგზარ ერგემლიძის სახით ჩვენს შემთხვევაში უსარგებლო აღმოჩნდა.

***— სიახლეები თქვენს დასაჯილდოებელთა ნომინაციებში ისევ გაქვთ?***

— შინაარსობრივად კვლავ არაფერი შეცვლილა „მეგაზე“. წელსაც იქნება პოზიტიური ნომინაციები და „ჟოლოს მეგა“-ც დარიგდება. ასევე წელს პირველად გამოვლინდება „წლის ყველაზე სასირცხვილო ჰიტის“ შემსრულებელი, არადა იცით, რამდენი იქნება ამ ნომინაციის პრედენტენტი ჩვენი თანამედროვე ჰიტების გადამკიდე? წელს საიუბილეო რიგით მეათე „მეგაზე“ ათი წლის განმავლობაში არსებულ ასე თუ ისე შემორჩენილ და ჰიტებად ქცეულ სიმღერებსაც გამოვავლენთ და დავაჯილდოებთ.

საიუბილეო მეათე „მეგას“ გამარჯვებულთა დასახელება და დაჯილდოება მოზარდმაყურებელთა თეატრში 12 დეკემბერს გაიმართება. როგორც ბესიკ ჩუბინიძე ამტკიცებს, „მეგაზე“ მისული საზოგადოება ტრადიციული სკანდალების მომსწრე გახდება.

# ლონდონის კინოსკოლამ მემორანდუმი გაგვიფორმა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ლონდონის კინო-სკოლასთან ორმხრივი მემორანდუმი გააფორმა. შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის აკადემიური თეატრის მისაღებ დარბაზში გაფორმებული ორმხრივი მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ლონდონის კინო-სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდება, რაც კინო-სკოლაში წარმატებული ქართველი სტუდენტების სასწავლებლად გაგზავნას ითვალისწინებს. ამავე მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია „ქართული ფილმის“ მიერ პრესელექციის ბორდის შექმნა. ბორდში ამ სფეროს სპეციალისტები და პროფესიონალები გაერთიანდებიან, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან სტუდენტების შერჩევაზე.

ურთიერთგაგების მემორანდუმს ქართული მხრიდან კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და „ქართული ფილმის“ დირექტორმა არჩილ გელოვანმა, ხოლო ლონდონის კინო-სკოლის მხრიდან მაიკ ლიმ და ბენ გიბსონმა მოაწერეს ხელი.

# ოპოზიციას ედპეს გაძლიერება აღიზიანებს

## პარტიის ოფისი სამართლიანად მოვიპოვეთ

გერა მამულაშვილი

**ბოლო დღეებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კოლეგების მხრიდან ღია კრიტიკის საგანი გახდა. პარტია ხელისუფლებასთან ალიანსში დაადანაშაულეს. კრიტიკის ერთ-ერთი საბაბი ედპეს მხრიდან 30%-იანი ბარიერის მხარდაჭერა გახდა.**

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ედპეს ერთ-ერთი ლიდერი თენგიზ შარმანაშვილი აცხადებს, რომ გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე პარტიის გაძლიერება აღიზიანებთ. მისივე თქმით, მერის არჩევის 30%-იან ბარიერს სხვა ძალებმაც დაუჭირეს მხარი, მაგრამ ისინი რატომღაც კრიტიკის ობიექტები არ გამხდარან. შარმანაშვილი აცხადებს, რომ ამ თემის გარდა, მოლაპარაკებების საგანი იყო უამრავი წინასწარ ჩადებული ნაღმი, რომლებიც მომავალი არჩევნებისას ხელისუფლების სასარგებლოდ იმუშავებს.

***— რით ხსნით ბოლო ხანებში კრიტიკის ტალღას თქვენი პარტიის მისამართით?***

— იმდენად არასერიოზულია ეს ყველაფერი, რომ შეიძლება მხოლოდ ერთ რამით აიხსნას: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავისი ადრინდელი ტრადიციებიდან, პოტენციალიდან გამომდინარე, ნელ-ნელა ისევ იკრებს ძალებს. რა თქმა უნდა, ეს ერთ და ორ დღეში ვერ მოხდება, მაგრამ პარტიამ მოკლე დროში მოახერხა ძალთა კონცენტრაცია. ეს ძალები ყოველდღიურად იზრდება და ამას ყველა ხვდება. გარკვეული ძალები ამ პოლიტიკურ დაფაზე ძლიერი მოთამაშის გამოჩენით უკმაყოფილონი არიან. სხვა ახსნა ამას არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიდგინეთ 30%-იან ბარიერთან დაკავშირებული ამბავი. გასაგებია, რომ კენჭისყრა ამგვარად შედგა, მაგრამ თვითონ დოკუმენტის შედგენისას ძალიან ბევრმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ამას საბოლოო ჯამში ხელი მოაწერა, თუმცა რატომღაც აქცენტი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზეა. რა ლოგიკა შეიძლება არსებობდეს აქ, გარდა ერთისა, რომ პოლიტიკურ დაფაზე ამ პარტიის დაბრუნება არ სურთ. სხვა ლოგიკურ ახსნას ამას ვერ ვუძებნი.

***— მთავარ მიზეზად 30%-იან ბარიერზე შეთანხმება ახსენეთ. რა მოტივაციით სარგებლობდა ამ დროს ედპე?***

— საქმე ის არის, რომ ცალმხრივი დიალოგი ბუნებაში არ არსებობს. სხვათა შორის, ჩვენ ერთ-ერთი პირველები ვიყავით, ვინც მოვუწოდებდით ხელისუფლებას, რომ დიალოგზე წამოსულიყვნენ, თან — არა მხოლოდ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, არამედ ეს დიალოგი ფართო საკითხებზე უნდა გამართულიყო, მათ შორის, საკონსტიტუციოზეც, სხვა პრობლემატიკაზეც.

ჩვენ ამ დიალოგის სათავეებთან ვიყავით და ვამბობდით, რომ ის გზა, რომელსაც ზოგიერთი რევოლუციურს არ უწოდებს, მაგრამ თავისი არსით რევოლუციურია, მიდის არსაით. საქმე ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება მარტო რჩება, გადაწყვეტილებებსაც მარტოდმარტო იღებს. მას სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან არანაირი პოლიტიკური კონტაქტი აღარ აქვს და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეგონა, ძალიან მოკლე დროში მოახერხებდა ხელისუფლების მხილებას და მერე პოლიტიკური ასპარეზიდან გასტუმრებას, ასეთი რამ არ მოხდა.

***— რატომ ვერ მოხერხდა ეს?***

— ჩვენ ვიცოდით, რომ ასეთი რამ არ მოხდებოდა, იმიტომ, რომ არ არიან ახლა ოპოზიციაში ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც საქართველოში ახალი რევოლუციის მოხდენას შეძლებენ. მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასეთები გამოჩნდნენ. საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია ქვეყანას აბსოლუტურ კატასტროფამდე მიიყვანს, თან ისეთ სიტუაციაში, როდესაც თბილისიდან ორმოცდაათ კილომეტრში რუსეთის ჯარები და ტანკები დგანან.

დიალოგის მხოლოდ ასეთი ფორმატით არსებობა, რომ რასაც მე ვიტყვი, მხოლოდ ის გავიდეს, სხვა შემთხვევაში ავდგები და წავალ მოლაპარაკების მაგიდიდან, არ შეიძლება. ჩვენ ვიცოდით, ხელისუფლებას მუდმივად ექნებოდა იმის ცდუნება, რომ რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციისთვის გადაებრალებინა, მას არა აქვს დიალოგის სურვილი და ამის შემდეგ თვითონაც ამდგარიყო და წასულიყო. რეალურად ასეც მოხდა.

ამ 30%-იანი ბარიერის გარდა, იცით, კიდევ რამდენი საკითხი იყო შესათანხმებელი, რომლებიც ათჯერ უფრო აქტუალურია საარჩევნო

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თეატრალურში ექსკლუზიური მასტერკლასი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ბელგიელი ანიმატორის გრეგორი ნოდის ექსკლუზიური მასტერკლასი გაიმართება. გრეგორი ნოდის გავლილი აქვს „პიქსარის“ ანიმაციის სუპერვაიზერის ენდრიუ გორდონის მასტერკლასები. იგი 2005 წლიდან დღემდე მოღვაწეობს „ენვეივ დიჯიტელ“-ში. გრეგორი ნოდი ორი სტერეოსკოპული სრულმეტრაჟიანი ფილმის ანიმატორიანია. უცხოელ სტუმარს აქვს მაგისტრის ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებასა და ტელეკომუნიკაციებში.

მასტერკლასის მიმდინარეობისას თანამედროვე ანიმაციის საფუძვლები, ნამუშევრები და მიღწევები იქნება განხილული. მასტერკლასი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მოეწყობა.

გრეგორი ნოდის ექსკლუზიური მასტერკლასი თეატრალური უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 9 დეკემბერს გაიმართება.

# ფიფას ხუთეული 21 დეკემბერს ელოდება

მსოფლიოს საფეხბურთო სამყარო წლის დასასრულისთვის ემზადება. „ფრანს ფუტბოლის“ შემდეგ ჯერი მთავარ საფეხბურთო ორგანიზაციაზე (ფიფა) დგება და 21 დეკემბერს უკვე მისი ვერსიით უნდა გამოვლინდეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, რომელსაც „ბრილიანტის ბურთი“ გადაეცემა.

ამ გამოკითხვის დროს ფიფა ყველა ნაკრების მთავარი მწვრთნელისა და კაპიტნის მიერ დასახელებულ ფეხბურთელების შედეგებს შეაჯამებს. თუმცა, ჯერ გასარკვევია, საქართველოს ნაკრების რომელი მწვრთნელი მიიღებს გამოკითხვაში მონაწილეობას — ექტორ რაულ კუპერი საქართველოს ნაკრების თავკაცი აღარ არის, ხოლო თემურ ქეცბაია გუნდს ახალი წლიდან ჩაიბარეს. სავარაუდოდ, ფიფა უფრო კუპერის აზრს დაეყრდნობა.

ფიფა თავად გაერკვევა, ვინ მისცემს ხმას, უფრო უპრიანი იქნება, თუ იმ ფეხბურთელთა სიას გადავხედავთ, რომლებიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის იბრძოლებენ. არგენტინელი ლეო მესი, ესპანელები — ხავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა (სამივე ბარსელონა), პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი-რეალი) და ბრაზილიელი კაკა (მილანი-რეალი).

როგორც ხედავთ, სადღეისოდ ყველა ფეხბურთელი ესპანეთის პრიმერა დივიზიონში თამაშობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ხუთეულიდან ორი წინა წლებში ფიფას მიერ საუკეთესოდ იქნა დასახელებული — 2007 წელს — კაკა, ხოლო 2008 წელს — რონალდუ. ერთიც, შარშანდელი ხუთეულიდან წელს მხოლოდ ერთი ცვლილებაა — ესპანელი ფერნანდო ტორესი მისივე თანამემამულე ანდრეს ინიესტამ ჩაანაცვლა.

ფიფამ ხუთეული ქალთა შორისაც დაასახელა. ინგლისელი კელი სმიტი, გერმანელები— ინკა გრინგსი და ბრიჯიტ პრინცი, ბრაზილიელები — კრისტიანა და მარტა ერთმანეთს შეეცილებიან საუკეთესოს ტიტულს.

ამ ნომინაციების გარდა, გამოვლინდება წლის სიმბოლური ნაკრებიც, რომელსაც 50.000 პროფესიონალი ფეხბურთელის გამოკითხვის შემდეგ შეაჯამებენ. წელს ფიფამ კიდევ ერთი ნომინაცია დააარსა, რომელიც ფერენც პუშკაშის სახელს ატარებს და ყველაზე ლამაზი გოლის ავტორს გადაეცემა.

# ლეო მესი: „ესპანეთის ნაკრები საუკეთესოა“



**მართალია, ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად 5 ნომინანტია, მაგრამ საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ლეო მესი მართლაც რომ საუკეთესო იყო წელს და არავისთვის გასაკვირი არ იქნება, თუ არგენტინელი ფეხბურთელი ფიფამ საუკეთესოდ აღიარა. ასეთი უპირატესობა წინა წლებში არც ერთ გამარჯვებულს არ ჰქონია და ყოველთვის ნელი იყო საუკეთესოს წინასწარ გამოვლენა.**

**„ფრანს ფუტბოლის“ მიერ საუკეთესოდ აღიარებულ და „ოქროს ბურთის“ მფლობელ არგენტინელს სწორედ ფიფას ვებგვერდის ჟურნალისტი ესაუბრა. საუბარი ყველაზე ნაკლებად ეხება მომავალ პირად ტიტულს.**

***— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგები უკვე ცნობილია. თქვენი აზრით, შეუძლია თუ არა არგენტინის ნაკრებს მუნდიალის მოგება?***

— არგენტინის ნაკრებს მშვიდად ყოფნა და ყოველ მომდევნო მატჩზე კონტრირება მართებს. ამისთვის საჭიროა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვიაროთ. ჩემი აზრით, ჩემპიონობაზე ფიქრს კონკრეტულ მატჩში გამარჯვებაზე ფიქრი სჯობია.

***— „ალბისელესტეს“ ყოველთვის პრობლემები ჰქონდა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად. ასე იყო ამჟამადაც. სადღეისოდ როგორი მდგომარეობაა გუნდში?***

— საკვალიფიკაციო ეტაპი უკვე წარსულს ჩაბარდა და არგენტინის ნაკრებისთვის ახალი ეტაპი იწყება. საკმარისი დრო გვაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თამაში გავაუმჯობესოთ. მიმაჩნია, რომ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას მუნდიალამდე აუცილებლად მოვასწრებთ.

***— რამდენი ხნის წინ ფიფას ვერსიით საუკეთესო გუნდს, ესპანეთის ნაკრებს, ეთამაშეთ (1:0 ესპანელთა სასარგებლოდ). რა შეგმატა ამ მატჩმა და რაზე ღირს ყურადღების გამახვილება?***

— ეს ძალიან კარგი მატჩი იყო. მართალია, პირველ ტაიმში მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ჩვენც ავთამაშდით და მოგებაც შეგვეძლო. ეს მატჩი კარგი გამოცდა იყო ორივე გუნდისთვის. საერთოდ, ესპანეთის ნაკრები „ბარსელონას“ მსგავსად თამაშობს და ძალიან ბევრი შესანიშნავი შემსრულებელი ჰყავს.

***— მიგაჩნიათ, რომ ესპანეთის ნაკრები მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება?***

— ჩემი აზრით, ისინი დღეს მსოფლიოში საუკეთესოები არიან. ესპანეთის ნაკრები დიდებულ ფეხბურთს თამაშობს და ამის დამსახურებით ბოლო დროს შედეგებიც აქვს. მთლიანად გუნდს კი უდიდესი ნდობა აქვს გამოცხადებული და ასეთი დონის ტურნირზე გამგზავრების წინ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

***— ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი საკლუბო ფეხბურთშიც გელით, რომელიც აბუ-დაბიში გაიმართება. ტურნირი საკმაოდ მნიშვნელოვანია და, აქედან გამომდინარე, რამდენად გხიბლავთ კიდევ ერთი ტიტულის მოგება?***

— ეს ტიტული არც „ბარსელონას“ და არც გუნდის ფეხბურთელების უმეტესობას არ მოუგია. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი იქნება გუნდისთვის ისტორიული წლის ბოლო მნიშვნელოვანი შეჯიბრი და, შესაბამისად, წარმატების მიღწევა გვსურს. პირადად მე უფრო პროგრესირებასა და განვითარებაზე ვფიქრობ. აქედან გამომდინარე, ჩემი სურვილია, „ბარსელონასთან“ ერთად ტიტულების მოგება განვაგრძო და არგენტინის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ვიასპარეზო.

***— მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე „ბარსელონა“ 2006 წელსაც გამოდიოდა. ის ტურნირი ტრავმის გამო გამოტოვეთ. როგორ ფიქრობთ, გუნდმა შეძლო იმის გათავისება, რომ 3 წლის წინანდელი შეცდომები აღარ გაიმეოროს და წელს მაინც მოახერხოს მისი მოგება?***

— სამწუხაროდ, ტრავმა ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მივიღე და იძულებული გავხდი, მისთვის თვალი არგენტინიდან მედევნებინა. რაც შეეხება შეცდომას, ერთ-ერთი ის იყო, რომ გუნდი ზედმეტად არ უნდა იყოს დარწმუნებული თავის თავში და მეტოქე არა მარტო უნდა დააფასო, არამედ, საფუძვლიანადაც უნდა შეისწავლო.

***— ამჯერად რა იცით თქვენს მომავალ სავარაუდო მეტოქეებზე?***

— სიმართლე გითხრათ, ჯერ არაფერი, თუმცა, მოვა დრო და მწვრთნელი იფიქრებს ჩვენს ინფორმაციულობაზე. ერთადერთი, როგორც არგენტინელმა, ის ვიცი, როგორი გუნდია „ესტუდიანტესი“. ეს არის გუნდი, რომელიც ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. მის შემადგენლობაში ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია. მათგან განსაკუთრებით ხუან სებასტიან ვერონი გამოირჩევა, რომელიც უძღვება გუნდს მოედანზე.

***— არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ასეთი ტურნირი პირველად იმართება. ამ ქვეყნის შესახებ თუ იცით რამე?***

— ბევრი არაფერი. ახალი ქვეყნის გაცნობა ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ, ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ ქვეყნის გასაცნობად და დასათვალიერებლად ბევრი დრო გვექნება — ჩვენ იქ სათამაშოდ და მსოფლიოს ჩემპიონატის მოსაგებად მივდივართ. საერთოდ, ეს ტურნირი ადრე ყოველთვის იაპონიაში იმართებოდა და მრავალი წლის შემდეგ სხვა ქვეყანაში გადაინაცვლებს, ამიტომ, შესანიშნავი იქნება, თუ ახალ ქვეყანაში პირველ გამარჯვებას სწორედ „ბარსელონა“ მოიპოვებს.

***— „ბარსელონა“ შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს. არის დღევანდელი „ბარსა“ ყველაზე ძლიერი გუნდი მათ შორის, სადაც გითამაშიათ?***

— ასეც ვერ ვიტყოდი. საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავდა 2006 წელსაც, როდესაც ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. მაშინ გუნდში თამაშობდნენ რონალდინიო, დეკუ, სამუელ ეტოო... დიდი სიამოვნება იყო იმ გუნდის წევრობაც. როგორც დღევანდელმა, ასევე მაშინდელმა გუნდმა ძალიან ბევრს მიაღწია და მათ შორის საუკეთესოს შეფასება ძალიან გამიჭირდება.

***— თქვენ უკვე მოიგეთ „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული. მალე ცნობილი გახდება ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა, რომლის ნომინანტიც ბრძანდებით. ეს შანსი უკვე მესამედ გეძლევათ. ბოლოს და ბოლოს, შეძლებთ, ამჯერად მაინც მოიგოთ ეს ჯილდო?***

— იმედი მაქვს. ამ ჯილდოს მოგების შანსი მესამედ მეძლევა და, იმედია, ახლა მაინც იქნება წარმატებული.

# იბრაჰიმოვიჩი ნაკრებზე უარს ამბობს

„ბარსელონას“ შვედი თავდამსხმელი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, სანაკრებო კარიერას წყვეტს. მოგეხსენებათ, სკანდინავიელებმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება ვერ მოახერხეს, ხოლო იბრაჰიმოვიჩს თავისი ენერგიის დახარჯვა მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში არ სურს. თუმცა, ფეხბურთელი არც იმას გამორიცხავს, რომ შემდეგში ისევ დაუბრუნდეს ეროვნულ გუნდს. ამის შესახებ მან ბრიტანულ გამოცემა „სკაი სპორტთან“ ისაუბრა.

— ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ეროვნული გუნდის ღირსების დაცვა, თუმცა ამ ეტაპზე იძულებული ვარ, სანაკრებო კარიერა დროებით შევწყვიტო. ამის მიზეზი მოტივაციის ნაკლებობაა. ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა და ამის გამო უახლოეს მომავალში მხოლოდ უმნიშვნელო ამხანაგური მატჩები ელის. ამგვარი მატჩებისთვის კი სათანადოდ განწყობა ყოველთვის მიჭირს. სამაგიეროდ, „ბარსელონას“ მძიმე და რთული სეზონი ელის. ამის გამო ნაკრების უმნიშვნელო მატჩებზე ფიქრისთვის დროც აღარ მრჩება. სიმართლე გითხრათ, ჯერ ზუსტად არ ვიცი, დაბრუნდები თუ არა ოდესმე ეროვნულ გუნდში, — განაცხადა 28 წლის ფეხბურთელმა.

გეტყვით იმასაც, რომ იბრაჰიმოვიჩი შვედეთის ნაკრებში 2001 წლიდან თამაშობს და მისი მაისურით ჩატარებულ 60 მატჩში 22 გოლი აქვს გატანილი.

# ლაციომ დატოვა, კატანიამ მოიყვანა

რაოდენ გასაოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რომის „ლაციოს“ პრეზიდენტი, კლაუდიო ლოტიტო, სულაც არ ფიქრობს, გუნდიდან დაითხოვოს მთავარი მწვრთნელი, ბალარდინი.

საქმე ის არის, რომ „ბიანკოჩელესტის“ უკვე 3 თვეა სერია ა-ს გათამაშებაში თამაში არ მოუგია, ხოლო ბოლოს სულაც უპრინციპულეს დერბიში დამარცხდნენ „რომასთან“ (0:1). კლუბის ტექნიკურ დირექტორ იგლე ტარესთან მოთათბირების შემდეგ ლოტიტო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ჯენოასთან“ და „ინტერთან“ მნიშვნელოვანი მატჩების წინ მკვეთრი გადაწყვეტილებების მიღება გუნდს ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა, ამასთან, ფეხბურთელები ბალარდინის მხარს უჭერენ, ამიტომ დროებით თავის შეკავება ამჯობინა.

— ჩვენ ყველა ერთ მხარეს ვდგავართ, შეიძლება ითქვას, ერთ ნავში ვსხედვართ და, თუ ჩასაძირია, ერთად ჩავიძირებით. „რომასთან“ მატჩში დავამტკიცეთ, რომ გუნდი ვართ და ასეთი რამ ყველას შეიძლება შეემთხვეს. დერბიში მარცხს არ ვიმსახურებდით და ამის დანახვა ყველას შეეძლო. მართალია, დიდი ხანია თამაში არ მოგვიგია, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მთავარია, ერთი მატჩი მოვიგოთ და მერე ყველაფერი დინების მიმართულებით წავა, — განაცხადა „ბიანკოჩელესტის“ ფეხბურთელმა, მათუზალემმა, რომელიც ბალარდინის მომხრეთა შორის ირიცხება.

სამაგიეროდ, სერია ა-ში წარუმატებელი მატჩების შემდეგ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დაატოვებინეს „კატანიას“ თავკაც ჯან ლუკა ატცორის. სიცილიური კლუბის ხელმძღვანელობას ბევრი არ უფიქრია და გამოთავისუფლებულ ადგილზე „ლაციოს“ ყოფილი ფეხბურთელი, სერბი სპეციალისტი სინიშა მიხაილოვიჩი დანიშნა.

მიხაილოვიჩი აქამდე „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად (2006-08) და „ბოლონიის“ მთავარ მწვრთნელად (2008-09) მუშაობდა. 40 წლის სერბი სპეციალისტი „ბოლონიიდან“ გასული სეზონის ბოლოს დაითხოვეს და მას შემდეგ უმუშევრობას უჩიოდა, თუმცა ახლა უკვე საქმე გამოუჩნდა, ამასთან — ძალიან რთული.

საქმე ის არის, რომ „კატანიას“ 15 ტურში მხოლოდ 9 ქულა აქვს მოპოვებული და „სიენასთან“ ერთად ცხრილის ფსკერზეა მისვენებული, მიხაილოვიჩის დავალება კი გუნდისთვის სერია ა-ში ადგილის შენარჩუნებაა.

# ადრიანო ბრაზილიაში საუკეთესოა

ბრაზილიის ჩემპიონატი დასრულდა და გვირგვინი თავზე რიო დე ჟანეიროს „ფლამენგომ“ დაიდგა, ხოლო მისი თავდამსხმელი, ადრიანო, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მილანის „ინტერიდან“ დისციპლინის ხშირი დარღვევისთვის გაძევებულმა თავდამსხმელმა „ფლამენგოს“ შემადგენლობაში 29 მატჩი ჩაატარა და 19 გოლის გატანა მოახერხა, რითიც დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გაჩემპიონებაში. აღსანიშნავია, რომ „ფლამენგომ“ ბოლოს ჩემპიონობა 17 წლის წინ მოიპოვა და ახლანდელი წარმატება გულშემატკივრებმა სწორედ ადრიანოს მიაწერეს.

ამის გარდა, ადრიანო გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად სიმბოლ ნაკრებშიც რომ მოხვდა, არავის გაკვირვებია. გამოკითხვაში მონაწილეობა 9 მილიონმა „ტიფოზმა“ მიიღო და, მათი აზრით, ბრაზილიის ჩემპიონატის იდეალური ნაკრები ასე გამოიყურება:

**მეკარე:** ვიქტორი (გრემიო);

**მცველები:** ჟონათანი (კრუზეირო), ანდრე დიასი, მირანდა (ორივე სან პაულუ), ჟულიო სეზარი (გოიასი);

**ნახევარმცველები:** ერნანდესი (სან პაულუ), პაბლო გინასი (ინტერნასიონალი), დიეგო სოუზა (პალმეირასი), დეიან პეტკოვიჩი (ფლამენგო);

**თავდამსხმელები:** დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო), ადრიანო (ფლამენგო).

# ალკმაარისა და ადვოკაატის მოლაპარაკება იწყება

შაბათს ჰოლანდიური კლუბის „ალკმაარის“ ხელმძღვანელობამ გუნდიდან დაითხოვა მთავარი მწვრთნელი, რონალდ კუმანი, რომლის წასვლის შემდეგ გუნდს სათავეში მისი ასისტენტები, შოთა არველაძე და მარტინ ჰაარსი, ჩაუდგნენ. თუმცა ქართველი სპეციალისტის მთავარ მწვრთნელობას დიდი დღე არ უწერია, რადგან ალკმაარული კლუბის თავკაცებმა უკვე მოძებნეს სპეციალისტი, რომელიც გუნდს გაწვრთნის — დიკ ადვოკაატი.

ბელგიის ნაკრების მწვრთნელად მომუშავე დიკ ადვოკაატმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ ალკმაარული კლუბიდან შეთავაზება მიიღო.

— უკვე შაბათსვე დამირეკა „ალკმაარის“ ტექნიკურმა დირექტორმა მარსელ ბრანდსმა და გუნდის გაწვრთნა შემომთავაზა. ამ კლუბთან კარგი და მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. მათ ჩემი სამსახური ზაფხულშიც უნდოდათ, მაგრამ მაშინ შეთანხმებული ვიყავი ბელგიის ფეხბურთის ფედერაციასთან და უარის თქმა მომიწია. ერთია, ჯერ არ ვიცი, ვიმუშავებ თუ არა შეთავსებით 2 თანამდებობაზე, — განაცხადა ადვოკაატმა.

მართალია, 62 წლის სპეციალისტი ბოლომდე არ ადასტურებს „ალკმაარის“ გაწვრთნის შესაძლებლობას, მაგრამ ევროპული პრესა უკვე უკვე ღიად საუბრობს მის დანიშვნაზე, რადგან ადვოკაატსა და ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას შორის დადებულ კონტრაქტში არის პუნქტი, სადაც მწვრთნელს ნაკრებსა და კლუბში შეთავსებით მუშაობის უფლება აქვს. ამასთან, ჰოლანდიის ჩემპიონატში ბელგიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს, ხოლო თავად „ალკმაარში“ ასეთი 2 ფეხბურთელია, რაც მწვრთნელსაც და ფედერაციასაც ხელს აძლევს. ამიტომაც ბელგიურმა მხარემ ადვოკაატს ჰოლანდიურ კლუბთან მოლაპარაკების უფლება მისცა.

არის კიდევ ერთი ვერსია — ადვოკაატი, შესაძლოა, „ალკმაარს“ მხოლოდ სეზონის ბოლომდე ჩაუდგეს სათავეში, ამის შემდეგ კი არველაძის შანსი, „ალკმაარი“ გაწვრთნას, უფრო იზრდება.

# რაში მშვიდად არის — „ლივერპული“ გაჭენდება

ინგლისურ „ლივერპულს“ ცუდი დრო უდგას. გუნდი ვერ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორსაც მისი გულშემატკივრები ითხოვენ. მერსისაიდელები უკვე გამოეთიშნენ ჩემპიონთა ლიგას და აღარც პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის ბრძოლის ფავორიტად მოიაზრებიან. მეტიც, თუ ოთხეულში მოხვდა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, გულშემატკივრები კმაყოფილი დარჩებიან. ქომაგებს ამის იმედს ლივერპულელთა ლეგენდა იენ რაში აძლევს, რომელსაც სჯერა, რომ რაფაელ ბენიტესის გუნდი აუცილებლად მოხვდება ტოპ-ოთხეულში.

— კრიტიკოსებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ „ბლექბერნთან“ დაკარგული მორიგი ქულები „ლივერპულში“ შექმნილი საშინელი მდგომარეობის შედეგია, თუმცა არ უყურებენ სატურნირო ცხრილს, სადაც ნათლად ჩანს, რომ „ლივერპული“ მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება „არსენალს“ და ამ გუნდს საკუთარ სტადიონზე ამავე კვირაში დაუხვდება. სადღეისო სიტუაცია მართლაც საშინლად მოჩანს და ეს იმის ბრალია, რომ გუნდი ყოველწლიურად სულ უფრო მაღალ მიზნებს ისახავს. ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ გუნდი წელს შედარებით ცუდად თამაშობს, მაგრამ არც ლიდერ „ჩელსისთან“ სხვაობაა კატასტროფული — 12 ქულა. დარწმუნებული ვარ, „ლივერპულს“ ოთხეულში მოხვედრა არ გაუჭირდება, რადგან ამ გუნდის ხასიათი კარგად ვიცი და შობის შემდეგ სულ უფრო უმატებს თამაშს, — განაცხადა რაშმა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| უოტფორდი-ქპრ | 3:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ვიჩენცა-პიაჩენცა | 0:0 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფიურტი-აახენი | 0:2 |

**საფრანგეთი. II ლიგა**

| | |
|---|---|
| ნანტი-არლი | 1:0 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლეირია-ნასიონალი | 1:2 |
| სეტუბალი-სპორტინგი | 0:2 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| ორხუსი-ესბიერგი | 1:1 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ფილადელფია-დენვერი | 83:93 |
| ნიუ იორკი-პორტლენდი | 93:84 |
| ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი | 104:88 |
| იუტა-სან ანტონიო | 104:101 |

### ხელბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები**

| | |
|---|---|
| ანგოლა-ავსტრია | 21:28 |
| დანია-კონგო | 37:24 |
| ნორვეგია-ჩილე | 44:15 |
| რუსეთი-ავსტრალია | 48:8 |
| საფრანგეთი-შვედეთი | 23:21 |
| რუმინეთი-უნგრეთი | 31:25 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ნიუ ჯერსი | 0:3 |
| ტორონტო-ატლანტა | 5:2 |
| მონრეალი-ფილადელფია | 3:1 |
| პიტსბურგი-კაროლინა | 2:3 |
| ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 0:3 |
| ფლორიდა-ედმონტონი | 2:2(0:1ბ) |
| სენტ ლუისი-კოლორადო | 0:4 |
| ფინიქსი-მინესოტა | 2:0 |
| ლოს ანჯელესი-კალგარი | 2:1 |

## დღის კალენდარი

### 9 დეკემბრისთვის



წლის 343-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 22 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

27-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი

ხ ს ე ნ ე ბ ა ღირსი ალვიპი მესვეტისა (VII); ღირსი იაკობ განდეგილისა (457).

დაიბადნენ:

1608 - ჯონ მილტონი, ინგლისელი პოეტი, გარდაიცვალა 1674 წელს.

1717 - იოჰან ვინკელმანი, გერმანელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, კლასიციზმის ესთეტიკის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1766 წელს.

1748 - კლოდ ლუი ბერთოლე, ფრანგი ქიმიკოსი, ბერთოლეს მარილის აღმომჩენი.

1842 - პიოტრ კროპოტკინი, რუსი გეოგრაფოსი, ისტორიკოსი, ანარქისტული მოძრაობის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1921 წელს.

1844 — ალექსანდრე ცაგარელი, ფილოლოგი, ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1929 წელს.

1916 - კერკ დუგლასი, ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი.

1917 - ლეო რეინუოტერი, ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1926 - ლუის მიგელ დომინგინი, ცნობილი ესპანელი მატადორი.

1943 - მიხაილ პიოტროვსკი, რუსი ისტორიკოსი, ერმიტაჟის დირექტორი.

**გარდაიცვალნენ:**

1292 - საადი, სპარსი მოაზროვნე და მწერალი, დაიბადა 1203 წელს.

1641 - ანტონის ვან დეიკი, ფლამანდიელი ფერმწერი, დაიბადა 1599 წელს.

1814 - ჯოზეფ ბრამანი, ჰიდრავლიკური წნეხის ინგლისელი გამომგონებელი.

1937 - ნილს გუსტავ დალენი, შვედი ინჟინერი, სინათლის ავტომატური რეგულატორის გამოგონებისათვის 1912 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, დაიბადა 1869 წელს.

1941 - დმიტრი მერეჟკოვსკი, რუსი პოეტ-რომანისტი.

1969 - სერგეი სტოლიაროვი, ცნობილი რუსი კინომსახიობი, დაიბადა 1911 წელს.

**მოვლენები:**

1824 - პერუში ბოლივარის ხელმძღვანელობით მოხდა გადამწყვეტი შეტაკება ამერიკაში ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

1832 — იასე ფალავანდიშვილმა გასცა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც მიმართული იყო საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

1842 - ინგლისში გამოვიდა პირველი საშობაო ღია ბარათი.

1909 - ავსტრალიაში თვითმფრინავით პირველი გაფრენა 11 მეტრის სიმაღლეზე შეასრულა ცნობილმა ავტომრბოლმა კოლინ დეფრისმა.

1948 - გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია გენოციდისათვის დასჯის შესახებ და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.

1992 - ინგლისელმა პრინცმა ჩარლზმა და პრინცესა დაიანამ ოფიციალურად გამოაცხადეს თავიანთი განშორების შესახებ.

1993 - ბრიუსელში რფ პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ერთობლივ პოლიტიკურ დეკლარაციას ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის თანამშრომლობის შესახებ.

2000 - გერმანიაში დაანგრიეს "ცივი ომის" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლო - ბერლინის კედელთან მდებარე სადარაჯო კოშკი.

**ღირსსახსოვარი დღე:**

ტანზანია - რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის დღე.

*მედიანიუსი*

# ოპოზიციას ედეპეს გაძლიერება აღიზიანებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გარემოსთვის, ვიდრე ეს 30%-იანი ბარიერია? ხელისუფლებას მიეცა საშუალება ეთქვა, რომ, აი, არ მოდიან დიალოგზე, მოდი, მე ამას პარლამენტში გადავიტანო იქაურ ფორმატში, სადაც ის აბსოლუტურ უმრავლესობას ფლობს. დაიკავა ეს პოზა ხელისუფლებამ, ადგა და წავიდა.

***— მაინც რამდენად შესაძლებელი იყო ხელისუფლების დათმობებზე დაყოლიება?***

— როდესაც ხელისუფლებას ბევრი სხვა საკითხი დავათმობინეთ ამ არჩევნებთან დაკავშირებით და კიდევ ბევრი საკითხის დათმობინება იყო შესაძლებელი, ზუსტად ამ მომენტში ჩაიშალა ეს მოლაპარაკება. თვითონ ეს მიდგომა კი ტაქტიკურად არასწორია. საქმე იქამდე შეიძლება მივიდეს, რომ ეს დიალოგის რეჟიმი საერთოდ მოიშალოს. ასეთ შემთხვევაში მოხდება ზუსტად ისეთივე რამ, რაც მოხდა საპარლამენტო არჩევნების დროს.

როდესაც უკვე მოლაპარაკებული იყო, რომ პარლამენტში 100 პროპორციული მანდატი იქნებოდა და 50 მაჟორიტარული, იმის გამო, რომ დიალოგის რეჟიმი მაშინაც გაითამაშეს, რომ ჩაიშალა (ამ გათამაშებას თვითონ ოპოზიციამ ხელი შეუწყო), ადგნენ და 75-75-ზე დასვეს, ანუ ის, რაც არავისთვის მომგებიანი არ იყო, განსაკუთრებით კი ოპოზიციისთვის. ამან მოიტანა საბოლოოდ აბსოლუტური კრახი საპარლამენტო არჩევნებში.

ყველაფერზე ამ გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ. როდესაც შეგიძლია, ძალიან ბევრ საკითხში მოლაპარაკების დროს წარმატებას მიაღწიო, შენ კი ერთ საკითხს აიკვიატებ და ამის გამო დათმობ დანარჩენ მოლაპარაკებულ და მომავალში მოსალაპარაკებელ საკითხებს, ეს ყოველთვის ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. ასე რომ იქნება, ამაში სულ ცოტა ხანში ადგილობრივი არჩევნების დროს დარწმუნდებით. გამოჩნდება მრავალი საკითხი, რომლებზეც ლაპარაკიც კი არ გამართულა, რომ ამ 30%-იანი ბარიერის გამო დიალოგი ჩაიშალა და ამას საერთოდ გადაჰყვა მთელი მოლაპარაკება. პრობლემა სწორედ ამაშია.

ჩვენ რა, საქმე ისე გვაქვს, რომ ხელისუფლება უკვე თვითმფრინავებთან არის მიახლოებული, ტრაპზე ადის და საქმე გასაქცევად აქვს? და თუ ჩვენ არ მოველაპარაკებით, მეორე დღეს მისი საქმე სრული კრახით დამთავრდება? ასეთი რეალობა დღეს არ არის. ასეთმა ილუზიებმა დაღუპეს ზუსტად დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში; ეგონათ, რომ ეს იყო თიხის ფეხებზე შემდგარი მონსტრი, თუ მოატეხდი ამ თიხის ფეხებს, ბზრიალ-ბზრიალით დაეცემოდა და დაიმსხვრეოდა. მაგრამ ასე არ არის.

საერთოდ, როდესაც მოწინააღმდეგის სიძლიერეს არ ითვალისწინებთ ბრძოლაში მიმავალი, იქ დიდი შანსია, რომ წააგო.

***— ბრძანეთ, რომ ბევრი რამ არჩევნებზე გამოჩნდება. მაინც რა პროგნოზს გააკეთებთ, რას ელით ამ არჩევნებისგან?***

— არჩევნებისგან ველი იმას, რომ ეს დაშვებული შეცდომები გამოვლინდება. მრავალი საკითხი საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მოსალაპარაკებელი იყო, მაგრამ ბარიერზე დაპირისპირების გამო ხელისუფლებას საშუალება მიეცა, პროცესი დაეტოვებინა. აქედან გამომდინარე, ნახავთ, რომ უამრავი საკითხი



წინასწარ იყო მოსალაპარაკებელი და ჩვენ არ მოვილაპარაკეთ მათთან. ეს საკითხები ჩვენ ყველას უშუალოდ არჩევნების დროს წინ დაგვიდგება.

წინ დაგვხვდება იმის გამო, რომ პატარ-პატარა ნაღმები იმთავითვე იყო ჩადებული საარჩევნო კოდექსში ხელისუფლების სასარგებლოდ, მაგრამ ამაზე საუბარი არც კი გამართულა და იქამდე ვერც კი მივაღწიეთ. დღეს კი შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთავარი მომენტი ამ საარჩევნო გარემოში ეს ბარიერი იყო.

მაგრამ შემდგომში ამავე ადამიანებისგან დარწმუნდებით, რომ თურმე ამაზე გაცილებით აქტუალური საკითხები ყოფილა, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნას.

***— შეგვიძლია ამ ნაღმებზე დღესვე ვისაუბროთ?***

— უამრავია. საუბარია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესაძლებლობაზე. მუხლები ისეა ფორმულირებული, რომ ხელისუფლებას ამ ადმინისტრაციული რესურსების, მატერიალური და სხვა ტიპის საშუალებების აბსოლუტური გამოყენების შანსს აძლევს. ამ საკითხებზე ჯერ კიდევ ვენეციის კომისია და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებდნენ და დიდ ხარვეზებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

არჩევნებს მაინცდამაინც მარტო საარჩევნო ყუთთან იმ დღეს კი არ აყალბებენ. მისი გაყალბება გაცილებით ადრე და სერიოზულად ხდება, როდესაც ადმინისტრაციული რესურსი მთლიანად ამოქმედდება ქვეყანაში და მთელი მატერიალური, პოლიტიკური და სხვა ტიპის საშუალებები ჩართულია წინასაარჩევნო კამპანიაში, რომლის საწინააღმდეგოდაც ოპოზიციას თითქმის არაფერი გააჩნია, გარდა იმ ნახევარსაათიანი თუ ოცწუთიანი სატელევიზიო დროისა.

აი, ეს საკითხები უფრო აქტუალური და გასასწორებელი იყო, ვიდრე ბარიერი, რომელიც, გასაგებია, რომ სერიოზულია, მაგრამ, დამერწმუნეთ, ასჯერ უფრო სერიოზული საკითხებია მასთან შედარებით. მერის პირდაპირი არჩევნები ხომ საერთოდ არ იყო საქართველოში და მით უმეტეს ეს ბარიერიც მაშინ არ იარსებებდა. დანარჩენი საკითხები კი, რითაც მთელი ამ წლების განმავლობაში არჩევნების გაყალბება ხდებოდა, ისევ ჩარჩა ამ კოდექსში. ახლა დავდგეთ და ვილაპარაკოთ იმ 30-პროცენტიან ბარიერზე და სხვა საკითხებზეც, რამდენიც გვინდა, თან, წარმოიდგინეთ, ეს დიალოგი საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვირვების ქვეშ მიმდინარეობდა. ეს ორგანიზაციებიც ძირითადად იმ ნაღმებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის საჭირო და აუცილებელი იყო. ძალიან ძნელია ევროპელებს გააგებინო, რომ ძირითადი საკითხი 30%-იანი ბარიერია, რადგან ძალიან ბევრ ქვეყანაში ეს ბარიერი საერთოდ არ არსებობს. მაგრამ ადმინისტრაციული და სხვა საკითხები, რომლებიც კოდექსში შეფარვით ისეა ჩადებული, რომ არჩევნების გაყალბების საშუალებას იძლევა, ამაზე თვითონაც მიუთითებდნენ. თუმცა ამ სერიოზულ საკითხებზე საუბარი არც კი ყოფილა.

***— ოპოზიციური კოლეგების მხრიდან კრიტიკის ერთ-ერთი ობიექტი თქვენი პარტიული ოფისის მიღება გახდა...***

— ეს უკვე სასაცილოა. როცა ადამიანს დოკუმენტს აჩვენებ და მისი წაკითხვა არ უნდა, მაშინ ის პოლიტიკაში არ უნდა იყოს. ეს არის ჯერ კიდევ გია ჭანტურიას სიცოცხლეშივე ბრძოლით მოპოვებული ოფისი. ხომ გახსოვთ, ედეპემ ოფისი როგორ მოიპოვა. ცენტრალური ოფისი თბილისის კომკავშირის საქალაქო ორგანიზაციას წავართვით, რის გამოც შეტაკებები მაშინდელ მილიციასთან დღეში სამჯერ მოგვდიოდა. მერე სპეცდანიშნულების რაზმებს გვიგზავნიდნენ და ყოველდღე გაწევ-გამოწევა გვქონდა.

ის მეორე ოფისიც პოლიტიკური ზეწოლის შედეგად მოვიპოვეთ. ჯერ კიდევ 94 წელს მაშინდელი მთავრობა იძულებული გახდა, ფლობისა და განკარგვის უფლებით გადმოეცა იგი, ვინაიდან მაშინ კერძო საკუთრებაში გადმოცემის მექანიზმები არ არსებობდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ამას ყველა მთავრობის პირობებში მოვითხოვდით. ყველა მერის დროს ვითხოვდით კუთვნილს. რომ გავეჩუმებინეთ, სხვადასხვა ფორმით ყოველთვის გვაძლევდნენ, ხან ხელშეკრულებას გვიფორმებდნენ და ხანაც სხვა ფორმებს პოულობდნენ.

მერე, როცა საშუალება შეიქმნა, რომ პირდაპირი მიყიდვის წესით აგველო, საკითხი კიდევ ერთხელ დავაყენეთ. ისტორიული სამართლიანობით ამას მივაღწიეთ და ოფისი მივიღეთ, თან გაზაფხულზე, როცა ეს დიალოგი საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით არც კი იყო დაწყებული. საერთოდ, ეს საკითხები არც კი განიხილებოდა. მხოლოდ უსინდისო ადამიანს შეუძლია ამათი ერთმანეთთან დაკავშირება. თვითონ აქვთ საჩუქრად მიღებული, ბრძოლით და სისხლით კი არა. გადახედეთ, რა აქვთ მიღებული. თავი დაანებონ ჩვენს პოლიტიკურად საარსებო საშუალებას, რომელიც წლების მანძილზე სისხლითა და ოფლით გვაქვს მოპოვებული, თორემ, კარგად გადავხედოთ, კერძო საკუთრებისთვის ვის რა აქვს საჩუქრად მიღებული.

***— მედიაში გაჟღერდა, რომ შესაძლოა პრობაციისა და სასჯელაღსრულების მინისტრის პორტფელი ოპოზიციას შესთავაზონ. საუბარია გია თორთლაძის კანდიდატურაზეც. როგორ აფასებთ ამ შესაძლო გადაწყვეტილებას?***

— ვერ გეტყვით. სხვათა შორის, თორთლაძის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ის გაკვირვებულია და ამბობს, რომ არ შეუთავაზებიათ. რომც შესთავაზონ, უარს იტყვის. რატომ არ უნდა დავუჯერო? ალბათ, არც შეუთავაზებიათ და არც აქვს ამის სურვილი. ასე რომ, კომენტარისგან თავს შევიკავებ.



## განცხადებები

● სიახლე! დასაქმების სრულიად განსხვავებული პროგრამა. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ანაზღაურება ყოველკვირეულად. ასაკი 25-70 წ. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38 ქ-ნი მათიკო მგალობლიშვილი

● სილამაზის სალონ „შარმში" უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხემცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ამერიკაშისტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფესის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ამერიკაშისტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფესის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.



## კროსვორდი



**შვეულად:** 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. უფროს მეთაურთა სამხედრო ჩინი; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. ირლანდიელი მწერალი რომან „ულისეს" ავტორი; 6. უძველესი ქართული აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი, ვიწრო ხის ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. რომელიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. ქართველ ქალთა ცეკვა; 19. პოპულარული ფრანგული სიგარეტი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ირანის ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. გოეთეს ტრაგედია; 5. დემონი არაბულ ფოლკლორში; 7. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 25. ბოსტნეული მცენარე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაჩანა; 2. ევრო; 3. მელომანია; 4. ბზიფი; 5. მაღრაძე; 8. ვეზუვი; 9. ბალისტიკა; 12. „საბენა"; 14. „ფულემი"; 16. „ულისე".

**თარაზულად:** 1. ბაბანეური; 6. გეოდეზია; 7. „ჩხავერი"; 9. ბალოკი; 10. ლიმა; 11. იურმალა; 13. „დაფნე"; 15. მალიბუ; 17. კაპრალი; 18. გეიტსი; 19. პრემია; 20. ჟერარდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. აპენინი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. რეზერვატი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფაუნა.

**თარაზულად:** 1. „ჰამბურგი". 5. „პელე"; 7. „ავერსი"; 9. ბერიტაშვილი; 10. „ამსტელი"; 12. აჯამეთი; 13. პრობსტი; 16. რელიქვია; 17. კილი; 18. „პრადო"; 20. სპანიელი; 22. ფშავი; 24. აღლუმი; 25. ვოლტი; 23. კაპრიზი.

# ნეოლითის ევროპელები კაციჭამიობაში არიან ეჭვმიტანილი



არქეოლოგებმა გერმანიის ჩრდილო-დასავლეთით სამოცდაათი ათასი წლის წინანდელი სამარხის გამოკვლევის დროს ევროპაში მასობრივი კაციჭამიობის ნიშნები აღმოაჩინეს.

შესაბამისი დასკვნები ჟურნალ „ანთიქუითის“ მიერ გამოქვეყნებული სტატიის ავტორებმა გამოიტანეს.

ავტორების თანახმად, არქეოლოგიური გათხრების ნიშნები მოწმობს, რომ ევროპაში ადრეული ნეოლითის ხანაში კანიბალიზმი არსებობდა.

ჰერკსჰაიმში ნაპოვნი უძველესი დასახლების ადგილას 500-მდე ადამიანის ნეშტი აღმოაჩინეს და მათი მდგომარეობა მოწმობს, რომ ისინი შესაძლოა კანიბალების მსხვერპლი გახდნენ.

გათხრები ამ ადგილას 1996 წელს დაიწყო. შემდეგ მკვლევრები სამარხს 2008-2008 წლებში დაუბრუნდნენ.

არქეოლოგების აზრით, ადამიანის ძვლები განზრახ არის დაქუცმაცებული, რაც კაციჭამიობის ნიშანია. ჩვეულებრივ, ცხოველების ძვლებს აშკარად ეტყობათ თერმული დამუშავების კვალი. ამ გათხრების დროს იგივე კვალი ადამიანების ძვლებს ეტყობოდა.

ზოგი მეცნიერი კანიბალიზმის ვერსიას უარყოფს და ამტკიცებს, რომ ძვლების დანაწევრება დაკრძალვის ცერემონიალის ნაწილი შეიძლება ყოფილიყო.

ადრეული ნეოლითი იყო ხანა, როდესაც ცენტრალურ ევროპაში მიწათმოქმედებამ დაიწყო განვითარება. გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდში კანიბალიზმი გამონაკლისს წარმოადგენდა და მას შესაძლოა მოუსავლიანობის, შიმშილობის დროს მისდევდნენ.

# ტაიგერ ვუდსი და მისი ქალები



ამჟამად დასავლეთის მედიის ყურადღების ცენტრში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სპორტსმენის, გოლფისტ ტაიგერ ვუდსის მომავალი განქორწინება მოხვდა, რაც, თავის მხრივ, ადიულტერის ინფორმაციის გამოქვეყნებას მოჰყვა.

ამჟამად ტაიგერ ვუდსი 27 ნოემბერს მომხდარი ავარიის დროს მიღებულ ჭრილობებს იშუშებს. არაოფიციალური ცნობების თანახმად, გოლფის მოთამაშის მეუღლემ ელინ ნორდეგრენმა ქმრის ღალატის ამბავი რომ შეიტყო, ქმარს სახე დააკაწრა და გოლფის ჯოხით გამოენთო. ცოლს გამოქცეული ვუდსი მანქანის საჭეს მიუჯდა, ვერ დაიმორჩილა იგი და სახლის მახლობლად სახანძრო ონკანს დაეჯახა. დარტყმის შედეგად მისი კადილაკი გზიდან გადავარდა და ხეს დაეჯახა. სპორტსმენი ლამის უგონო მდგომარეობაში გადმოიყვანეს მანქანიდან.

იმავდროულად, დასავლეთის პრესაში გამოქვეყნდა იმ ქალების სია, რომლებთანაც ტაიგერ ვუდსს სასიყვარულო ინტრიგები ჰქონდა. ბულვარული პრესა პირდაპირ ტკბება ამ სკანდალის გაშუქებით და მკითხველებს ვუდსის საყვარლებთან ინტერვიუებს სთავაზობს. ინტერვიუებს ტაიგერ ვუდსის ქალების გულახდილი ფოტოებიც ახლავს. აუდიტორიის დაკარგვის შიშით ამ სკანდალს სოლიდური გამოცემებიც უთმობენ ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ტაიგერ ვუდსის ქონება მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ტაიგერ ვუდსის ქალების სია ასე გამოიყურება:

რეიჩელ უჩიტელი, ნიუ იორკის ღამის კლუბის მენეჯერი, ჯეიმი გრაბსი, ბარმენი, კალიფორნია, მინდი ლოტონი, ოფიციანტი ორლანდოში, ფლორიდის შტატი, კალიკა მოკუინი, ლას ვეგასის ღამის კლუბის მენეჯერი, ჯემი ჯანგერსი, ლას ვეგასის კოქტეილ ბარის ოფიციანტი, კორი რისტი, ნიუ იორკში, მანჰეტენის ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელი, ჰოლი სემპსონი, პორნოვარსკვლავი, ლოს ანჯელესი.

## ტესტის ჰასუხები

*პასუხები შეაფასეთ: ა. 1 ქულა. ბ. 2 ქულა. გ. 3 ქულა. დ. 4 ქულა. ე. 5 ქულა*

**7-12 ქულა:** ყოველნაირად ცდილობთ, სხვები აიძულოთ, ისე მოიქცნენ, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ ამაოდ, თქვენს მიზნებს მაინც ყველა ხვდება.

**12-17 ქულა:** ძალაუფლების სიყვარულით სხვას არ ჩამოუვარდებით, მაგრამ მალავთ თქვენს მიზნებს, თუმცა არ ფიქრობთ, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

**18-23 ქულა:** თქვენთვის დამახასიათებელია გულახდილობა და გულწრფელობა. ყოველთვის სწორ გზას არჩევთ მიზნის მისაღწევად, ცდილობთ სხვების ინტერესების გათვალისწინებასაც.

**24-29 ქულა:** მიზნის მისაღწევად პირდაპირ და გაბედულად მოქმედებთ. დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფრის უფლება გაქვთ და ყველა უნდა დაგემორჩილოთ.

**30-35 ქულა:** თქვენ ყველაზე უკეთ ახერხებთ ადამიანებით მანიპულირებას, რადგან იარაღად ემოციური შანტაჟი აირჩიეთ. აშკარად არ მიდიხართ კონფლიქტზე, მაგრამ ფარულად შეგიძლიათ, სხვებს ხასიათი გაუფუჭოთ.


## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ბელა ჩოჩია, შვილები დათო, შიო, ირაკლი, შვილიშვილები დავითი, დეა, გიორგი, ძმები თენგიზ, გურამ დავლიანიძეები, რძლები ეკა საჯაია, თამარ მანგიაშვილი, დოდო დარჩიაშვილი, მერი კობახიძე, ცოლისდები სულიკო, ნანი, მაყვალა, დოდო, ცოლისძმა სერგო ჩოჩია ოჯახებით და ახლო ნათესავები იუწყებიან

**კიაზო შიოს ძე დავლიანიძის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 10, 11 დეკემბერს.
დაკრძალვა: შაბათს, 12 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: გ.ლეონიძის ქ.№11/2.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# ბრიტანეთის დედოფალმა პაპარაციები გააფრთხილა



დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ მოითხოვა, რომ ბრიტანულმა გაზეთებმა პაპარაციების მიერ გადაღებული სამეფო ოჯახის წევრების ფოტოსურათების ბეჭდვა შეწყვიტონ.

დედოფლის ადვოკატებმა ჟურნალისტებს გაზეთების წესდებებში პირადი ცხოვრების გაშუქების შესახებ ჩადებული დებულებები შეახსენეს.

საშობაო დღესასწაულისათვის დააკვირდებიან იმ ფოტოგრაფებს, რომლებსაც ნორფოლკში, სანდრიგემის მამულის მახლობლად შეამჩნევენ. სამეფო ოჯახი შობის დღესასწაულს, როგორც წესი, აქ ხვდება ხოლმე.

პრინც ჩარლზის წარმომადგენელმა პადი ჰარვერსონმა განაცხადა, რომ სამეფო ოჯახის წევრებს პირადი ცხოვრებისა და ყოველდღიური საქმეების კეთების უფლება აქვთ.

ჰარვერსონმა ასევე აღნიშნა, რომ სამეფო ოჯახის წევრებისათვის გასაგებია ის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელსაც მათ მიმართ იჩენენ, მაგრამ, მათი ვარაუდით, მათი და მათი მეგობრების პირადი ცხოვრების ფოტოგადაღება ამ ინტერესის ფარგლებს სცილდება.

გამოცემა „მაჯესთი მეგეზინის“ მთავარი რედაქტორის ინგრიდ სიუვორდის თქმით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფოტოგრაფების აქტივობა საგრძნობლად გაიზარდა.

ისინი განსაკუთრებით პრინც უილიამისა და მისი მეგობარი გოგონას, ქეითის ფოტოსურათებზე ნადირობენ, თანაც არა აუცილებლად ბრიტანული პრესისათვის, რადგან საზღვარგარეთ ამ ფოტოებში მათ გაცილებით მეტს უხდიან.

პრინცმა უილიამმა შეშფოთება მას შემდეგ გამოთქვა, რაც 2007 წელს პაპარაციები მეტად ჯიუტად დასდევდნენ მას და ქეით მიდლტონს.

გარდა ამისა, 1997 წელს პარიზში ავტოკატასტროფის შედეგად დედამისის, პრინცესა დაიანას დაღუპვაში დღემდე პაპარაციებს ადანაშაულებენ.

სამეფო კარზე აკრედიტებული ბიბისის ჟურნალისტების თქმით, ჯერჯერობით სასამართლო პროცესებზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ, თუ პაპარაციებმა დედოფლის მოწოდებას ყურადღება არ მიაქციეს, პროცესები გარდაუვალი გახდება.

მათი თქმით, დედოფალ ელისაბედ II-ის მიმართვა გაფრთხილებაა.

წლების განმავლობაში სამეფო ოჯახი ყურადღებას არ აქცევდა პაპარაციებს, მაგრამ ამჯერად მათ, მათი აზრით, პირად ცხოვრებაში გაუმართლებელ ჩარევაზე მკვეთრი რეაგირება გადაწყვიტეს.

# აშშ-ში კოსმოსური ტურისტული ხომალდი წარმოადგინეს

აშშ-ში ცოტა ხნის წინ კოსმოსური ტურიზმისათვის გათვალისწინებული პირველი საფრენი აპარატის გამოცდა გაიმართა.

ხომალდი მილიარდერმა რიჩარდ ბრენსონმა, ჯგუფ „ვირჯინ გალაქტიქის“ მფლობელმა წარმოადგინა, რომელიც ხომალდის შექმნაზე პირადად მუშაობდა.

ცერემონილი, რომელსაც კომპანიამ „მსოფლიო პრემიერა“ უწოდა, კალიფორნიის შტატში, მოჰავას უდაბნოში მდებარე კერძო კოსმოდრომზე გაიმართა. ღონისძიებაში კალიფორნიისა და ნიუ მექსიკოს შტატის გუბერნატორებმა არნოლდ შვარცენეგერმა და ბილ რიჩარდსონმა მიიღეს მონაწილეობა.

ცერემონიალის მონაწილეებს აჩვენეს ტურისტული ხომალდი, „სფეისშიფთუ“, რომელიც სპეციალურ თვითმფრინავზე, „უაითქინგთუზე“ მაგრდება. მას ტურისტული ხომალდი 35 კმ სიმაღლეზე აჰყავს.

თვითმფრინავის მოშორების შემდეგ 18 მეტრი სიგრძის ხომალდი, რომელსაც ორი პილოტი მართავს, სარაკეტო ძრავის საშუალებით 119 კმ სიმაღლეზე ადის. ამ სიმაღლეზე ტურისტებს სავარძლებზე სამაგრი ქამრების მოხსნა და 4-5 წუთის განმავლობაში უწონობის მდგომარეობაში ყოფნა შეუძლიათ.

„სფეისშიფთუ“ დედამიწაზე თავისუფალი პლანირების რეჟიმში ეშვება და აეროდრომზე თვითმფრინავივით ჯდება. მიუხედავად იმისა, რომ კოსმოსურმა ტურისტებმა ექვსგზის გადატვირთვა შეიძლება განიცადონ, კოსმოსური ტურისტული ხომალდის ავტორები ამტკიცებენ, რომ მათ ჯანმრთელობაზე ეს ზეგავლენას არ მოახდენს და სპეციალურ სავარძლებში გადატვირთვას ვერ იგრძნობენ.

სიტყვით გამოსვლის დროს ბრენსონმა განაცხადა, რომ მისი კომპანია კოსმოსში ტურისტების გაგზავნის პროგრამის საშუალებით კოსმოსურ ტურიზმში ახალი ერის დაწყებას ცდილობს. ბრენსონის თქმით, დედამიწის ორბიტისაკენ მოგზაურობა წელიწად-ნახევრის, საწვრთნელი ტესტების და შესაბამისი ლიცენზიის მიღების შემდეგ დაიწყება.



კოსმოსური ფლოტის შესაქმნელად „ვირჯინ გალაქტიქს“ 400 მილიონი დოლარის დახარჯვა აქვს გადაწყვეტილი.

თითოეულ ტურისტს 3-საათიანი მოგზაურობისათვის დაახლოებით 200 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. ეს თანხა კოსმოსში გაფრენისათვის მზადების დროს ლუქსის კლასის სასტუმროს ნომერში ორი დღის განმავლობაში ცხოვრების ღირებულებასაც მოიცავს. კოსმოსურ ტურისტულ ხომალდზე ბილეთები უკვე 300-მა ადამიანმა დაჯავშნა. მომავალმა ტურისტებმა უკვე 40 მილიონ დოლარამდე გადაიხადეს. კერძოდ, მათ შორის, ვინც კოსმოსური ტურიზმის ბილეთები შეიძინეს, არიან ავტომრბოლელი მიქაელ შუმახერი, მისი კოლეგა, ყოფილი მრბოლელი ნიკი ლაუდა, დიზაინერი ფილიპ სტარკი, ფიზიკოსი სტივენ ჰოუკინგი.

კოსმოსში მოგზაურობისათვის ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს. კოსმოსურ ცენტრში ტესტირება გაიარეს როგორც 17, ასევე 88 წლის მომავალმა ტურისტებმა. გაფრენის ღირებულება რიგში ნომრის შემცირების პროპორციულად იზრდება.

„სფეისშიფთუს“ 30 საწყისი ტესტის შემდეგ თავად რიჩარდ ბრენსონი და მისი ოჯახის წევრები გამოცდიან. ეს ინფორმაცია თავად ბრენსონმაც დაადასტურა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# უორქშოფი ახალგაზრდა რეჟისორებისთვის

*ეკა ირემაშვილი*

თეატრების პარტნიორობის პროექტის ფარგლებში რუსთაველის თეატრში უორქშოფი გაიმართება, რომელიც ახალგაზრდა ქართველი რეჟისორებისთვის არის განკუთვნილი.

უორქშოფის ჩასატარებლად საქართველოში მოწვეულია თეატრის რეჟისორი ჯეიმს მაკდონალდი, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით თანამშრომლობს ლონდონის ნაციონალურ თეატრთან. 1992-2006 წლებში ჯეიმს მაკდონალდი ასოცირებული დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა „როიალ ქოართ“ თეატრში, სადაც განხორციელებული აქვს 20-ზე მეტი წარმოდგენა. გასულ წელს მან ბიბისის დაკვეთით გადაიღო ფილმი „რიცხვი“.

თბილისში პრაქტიკული სახის უორქშოფის ყურადღების ცენტრში ახალი დრამატურგიის ნიმუშებია. უორქშოფის ფარგლებში გამოყენებული იქნება სარა კეინის „4:48 ფსიქოზი“ და ქერილ ჩერჩილის „რიცხვი“.

უორქშოფში მონაწილეობისთვის ორგანიზატორთა მიერ 15 რეჟისორი შეირჩა.

რუსთაველის თეატრში უორქშოფი ახალგაზრდა რეჟისორებისთვის 9 დეკემბრამდე გაგრძელდება.

# ალავერდში წმინდა მამა იოსებ ალავერდელის საფლავი აღმოაჩინეს

ალავერდის სამონასტრო კომპლექსში რამდენიმეწლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ წმინდა ღირსი მამის იოსებ ალავერდელის საფლავი და სამეფო სასახლის ნაშთები იპოვეს. აღმოჩენა მე-6 საუკუნით თარიღდება, — აცნობეს „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“.

ალავერდში აღდგენითი სამუშაოები უკვე 3 წელია მიმდინარეობს. კომპლექსის რეაბილიტაცია ერთ-ერთი გრძელვადიანი პროექტია, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს.

*მედიანიუსი*

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 9 დეკემბერი**

**07.00** ჩვენი დილა **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ანელიას სახე"** **13.30** დოკ. ფილმი "რიდიმი" **14.00** მეხსიერება – ინოლა გურგულია **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "აპოკალიფსი" **19.05** "მეხსიერება" – სპორტი: ფალავნები **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ანელიას სახე"** **22.00** ჩვენებურები **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) **23.40 ჩემპიონთა ლიგა** **01.50** მოამბე **02.10** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"ანელიას სახე"** **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** **23.50** მხ. ფ. **"სიყვარული მოულოდნელად გეწვევა"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** ვის უნდა 20 ათასი **23.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. "ინტერი" – "რუბინი" **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

**08.00** მულტფილმი "კონანი" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"დონ კიხოტი"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ტყუპები"** **19.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"კლინიკა"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** სიმართლის დრო (გან.) **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"ლაბირინთი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ **23.00** სერ. **"კლინიკა"** **00.00** სერ. **"სანდრა პაოლას კლანი"** **01.00** მხ. ფილმი **"სიყვარული და სხვა უბედურებანი"** (U) (ბ. მერფი) **02.40** ქრონიკა **02.05** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.55** მხ. ფილმი **"დროის გამჩერებელნი"** **10.30, 19.30** სერ. **"ღირსების საქმე"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.40** მხ. ფილმი **"სიცილი და სასჯელი"** **15.15** მხ. ფილმი **"რვაფეხა"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.30** მხ. ფილმი **"ცოფიანი სისხლი"**

ერთსულოვნება

**09.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** დროის ჩანაწერები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** სატ. არქივიდან **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"არდადეგებზე"** **13.00** კონცერტი **15.10** დოკ. სერ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **15.35** მხ. ფილმი **"დიდედები და შვილიშვილები"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"ვედრება"** **20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ. ფილმი **22.00** სიახლენი **22.20** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 9 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3-5, ღამით — -2-9
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-16, ღამით — 5-19
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -5-4, ღამით — -12 -1







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# 17-წლამდელები: შესარჩევი ეტაპი თბილისში გაიმართება

## საქართველომ ელიტ-რაუნდის მეტოქეები გაარკვია

შვეიცარიის ქალაქ ნიონში 17-წლამდელთა ელიტ-რაუნდის კენჭისყრა გაიმართა. 28 გუნდი 7 ჯგუფად განაწილდა, საიდანაც ფინალურ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებულები გავლენ და მასპინძელ ლიხტენშტეინს შეუერთდებიან კონტინენტის საუკეთესო გუნდის გამოსავლენად.

საქართველოს ამ ასაკში ერთადერთი გუნდი ჰყავს, რომელმაც ელიტ-რაუნდში გააღწია, თუმცა ახლა გაცილებით მძიმე ბრძოლები მოუწევს. გიორგი დევდარიანის შეგირდებთან ერთად ჯგუფში ჩეხეთის, ჰოლანდიისა და უკრაინის ნაკრები გუნდები მოხვდნენ. ელიტ-რაუნდის მატჩები მარტში გაიმართება, ხოლო თუ რომელი ქვეყანა უმასპინძლებს მას, მოგვიანებით გაირკვევა.

სხვათა შორის, ნიონში იმყოფებოდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რეზო არველაძე, რომელთა სურვილი იყო, ელიტ-რაუნდისთვის საქართველოს ემასპინძლა. ამის ალბათობა მას შემდეგ უფრო შემცირდა, რაც წინა დღეს საქართველოს პატივი ხვდა წილად, 2010-11 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთი ჯგუფისთვის გაეწია მასპინძლობა.

17-წლამდელთა მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში კი საქართველოს ნაკრებთან ერთად ინგლისის, პოლონეთისა და შვედეთის ნაკრები გუნდები მოხვდნენ. მატჩები თბილისში მომავალი წლის 18, 20 და 23 ოქტომბერს გაიმართება და ჯგუფიდან 2



საუკეთესო გავა. პარალელურად მატჩები კიდევ 12 ჯგუფში გაიმართება და 26 გუნდს კიდევ 2 საუკეთესო მესამეადგილოსანი დაემატება, შემდეგ კი 28 გუნდი ელიტ-რაუნდს გაითამაშებს 7 ჯგუფში და 7 საუკეთესო სერბეთს ესტუმრება ფინალურ ეტაპზე.

კენჭისყრა ჩატარდა 19-წლამდელთა ასაკის ნაკრებებს შორისაც. საქართველოს ნაკრები პორტუგალიის, საბერძნეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებ გუნდებთან ერთად მოხვდა. მატჩები 11, 13 და 16 ოქტომბერს პორტუგალიაში გაიმართება. სისტემა აქაც ისეთივეა, როგორიც 17-წლამდელთა შეჯიბრებისას.

# ცირა სუქნიძე „მის მსოფლიოსთვის" ემზადება


ეკა ირემაშვილი




„მის საქართველო 2009" ცირა სუქნიძე უკვე თვეზე მეტია საზღვარგარეთ გაემგზავრა და „მის მსოფლიოსთვის" აქტიურად ემზადება.

სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრის" წარმომადგენელმა **მაცაცო გულუამ** გვითხრა:

— ცირა სუქნიძე უკვე თვეზე მეტია საქართველოდან გაემგზავრა და „მის მსოფლიო" ფინალისთვის ემზადება. ყველა „მისი" მოსამზადებელ ეტაპს ერთად გადის, საც „მის მსოფლიოს" გამოსავლენად სერიოზული როლი აკისრია, ცირა უიტნი ჰიუსტონის სიმღერას შეასრულებს.

***— ცირას ჩაცმულობაზე ვინ იზრუნა?***

— ცირას ჩაცმულობაზე „მარიონელამ" იზრუნა. საგანგებოდ მისთვის შეიქმნა სალამოს კაბები, ნაციონალური სამოსი და ასევე საგანგებო კაბა „დავლურისთვის".

***— წელს რამდენი გოგონა მონაწილეობს „მის მსოფლიოში"?***

— წელს ჟიურის საუკეთესოს არჩევა 112 ქვეყნის ლამაზმანიდან მოუწევს.

***— ცირა ფინალზე მარტო იქნება?***

— დიახ, იგი მარტოა წასული და ალბათ ფინალშიც მარტო მოუწევს ყოფნა.

***— ია კიწმარიშვილი არ უქომაგებს მას?***

— ჯერ ეს გადაწყვეტილი არ არის.

***— ცირა იმღერებს „მის მსოფლიოზე"?***

— დიახ. „ტალანტშოუში", რომელ-

***— „მის მსოფლიოს" ფინალი როდის არის?***

— ფინალი 12 დეკემბერს სამხრეთ აფრიკაში, იოჰანესბურგში გაიმართება.

სხვადასხვა ქვეყნის „მისები" უკვე ლონდონში არიან შეკრებილი. საგანგებოდ მათთვის ინგლისის დედაქალაქში უამრავი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი, შემდეგ კი „მის მსოფლიოს" კონკურსანტები იოჰანესბურგში გაემგზავრებიან, სადაც „მის მსოფლიო" გაიმართება.

# ვინ არის ყველაზე სამარცხვინო ჰიტის ავტორი

## შოუ-ბიზნესს კომიდან „მეგა" გამოიყვანს?


ეკა ირემაშვილი


დაჯილდოების ცერემონიალი „მეგა" წელს უკვე მეათედ გაიმართება. როგორც ცერემონიალის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა ბესიკ ჩუბინიძეს გვითხრა:

— მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული შოუ-ბიზნესი კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება და აპარატზე მიერთებული ძლივსღა სუნთქავს, 1999 წელს დაარსებულ საქართველოს მუსიკალური დაჯილდოების „მეგას" ცერემონიალი, რომელიც რაც უნდა და გასაოცარი იყოს, უკვე ათი წელიწადია ტარდება თბილისში, წელსაც გაიმართება.

***— თუკი ქართულ შოუ-ბიზნესში არაფერი ხდება, თქვენ ვილას აჯილდოებთ?***

— იყო დრო, საქართველოში შვიდი სხვადასხვა დასახელების მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი არსებობდა, მაგრამ მხოლოდ „მეგამ" გაუძლო. მთავარი იმ საქმის სიყვარულია, რასაც აკეთებ და მხოლოდ ამის მერე — ყველაფერი დანარჩენი, საქართველოში 10 მომღერალიც რომ დარჩეს, მათი და კიდევ 10 ახალის სტიმულის ასამაღლებლად „მეგა" ყოველთვის ჩატარდება.


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## იუმორი



— სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, ყველა, ვინც შემთხვევით ზღარბს დააჯდა, მაშინვე საკუთარ უკანალზე ფიქრობს და ზღარბს რა დაემართა, არავინ კითხულობს...

* * *

— რაც უფრო მაღლა მიცოცავს მაიმუნი ხეზე, მით უფრო უკეთ ჩანს მისი წითელი უკანალი...

* * *

— მაკიაჟის ქვეშ ხანდახან ნამდვილი მზეთუნახავი იმალება...

* * *

— თავიდან გოგონებს თოჯინები აინტერესებთ, ბიჭებს — მანქანები. რომ იზრდებიან, ინტერესები იცვლება...

* * *

— ძვირფასო, კლავიატურა გავწმინდე და მარჯვნივ სამი მწვანე ნათურა აინთო. რას ნიშნავს?

— რას და იმას, რომ კლავიატურა სუფთაა...

* * *

— მამაკაცის გულისაკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის, საფულისაკენ მიმავალი კი — სარცხვენელზე...

* * *

— სიგარეტს მხოლოდ მაშინ ვეწევი, როდესაც ვსვამ, დალევით კი იმდენს ვსვამ, რომ ყველას მწეველი ვგონივარ...

* * *

— იდიოტის ოცნება მეზობლის ცოლს ჰგავს...

* * *

— ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი ვიყავი, ახლა კი შესანიშნავი ხასიათი მაქვს. ეს ორი თვისება ერთმანეთთან ვერ თავსდება...

## ასტროპროგნოზი 9 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

გეომაგნიტური დღეა.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **ტყუპები** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ლომი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — დღეს არ გადაიღალოთ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **თხის რქა** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **მერწყული** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **თევზები** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## როგორ აღწევენ ქალები მიზანს

ტესტი



***1. როგორ მოექცევით დაქალს, რომელიც სულ იგვიანებს?***

ა. თუ კიდევ დაიგვიანებს, არ დაელოდებით. ბ. შეხვედრას ერთი საათით ადრე დაუნიშნავთ. გ. გამოუცხადებთ, რომ აღარ შეხვდებით. დ. კარგად გამოთათხავთ. ე. არც თქვენ ხართ პუნქტუალური.

***2. არ მოგწონთ წვერგაუპარსავი მამაკაცი. როგორ აიძულებთ გაპარსვას?***

ა. აკოცებთ, როდესაც გაპარსულია. ბ. ბალიშის ქვეშ პირსაპარსს ამოუდებთ. გ. ხშირ-ხშირად გაპარსვას სთხოვთ. დ. გამოუცხადებთ, რომ ჯაგარი არ მოგწონთ. ე. წვერგაუპარსავი თუ შეგეხებათ, იკივლებთ.

***3. ვაკანტურ თანამდებობაზე თქვენი დაქალიც აცხადებს პრეტენზიას:***

ა. ფარულად მიიღებთ აქტიურ ზომებს მიზნის მისაღწევად. ბ. აუხსნით, რით არის თქვენთვის ეს სამუშაო მნიშვნელოვანი. გ. ჰკითხავთ, ხომ არ გამოვიდოდა თამაშიდან. დ. წაეჩხუბებით. ე. იფიქრებთ, ხომ არ დაანებოთ თავი ყველაფერს.

***4. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ: „რაც გინდა, ის ქენი"?***

ა. „მე ყველაფერი მიხდება." ბ. ინანებ." გ. „როგორც შენ გინდა, მაინც ისე გააკეთებ." დ. „ისე მოვიქცევი, როგორც მინდა." ე. „შენთვის სულ ერთია, მე რას ვგრძნობ."

***5. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ: "მე ეს ძალიან მსიამოვნებს"?***

ა. „გააგრძელე". ბ. „ცოტა უფრო ხშირადაც შეგეძლო, გაგეკეთებინა". გ. „მომწონს, როდესაც ასე მეფერები". დ. „მე ამას ვერ ვიტან". ე. „სად ისწავლე".

***6. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ: „ალბათ, საშინლად გამოვიყურები"?***

ა. „თქვი, რომ ასე არ არის". ბ. „ვერ გამოვიძინე". გ. „შენც ასე ფიქრობ". დ. „დღეს თმა საშინლად მაქვს". ე. „ყველაფერი შენი ბრალია".

***7. სტუმრად ყოფნისას თქვენი პარტნიორი მამაკაცი ნახევარი საათი ვიღაც ქალს ეკურკურებოდა. შინისაკენ მიმავალი, თქვენ:***

ა. თქვენი „მაგარი" ნაცნობის შესახებ მოუყვებით. ბ. ხუმრობით საყვედურს ეუბნებით. გ. შეკითხვებს უსვამთ, რათა გამოარკვიოთ, რა მოეწონა იმ ქალში. დ. ჯანდაბაში გაგზავნით. ე. მრავალმნიშვნელოვნად დუმხართ.


პასუხები იხ. მე-11 გვერდზე


## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 4. გერმანული მოდების ჟურნალი; 5. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 8. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 9. სპირტიანი სასმელების კონტრაბანდისტი აშშ-ში; 12. მხატვრული ნაწარმოების, ამბის სქემატური მოკლე შინაარსი, ძირითადი ქარგა; 14. ღვინის ძველებური საწყაო; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. წითელი, წვრილმარცვლოვანი ნაყოფის მქონე, მაგარკანიანი ხილი; 7. სამეცნიერო ნაშრომის, ლექციის, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. მუდმივი მყიდველი; 13. კვერნისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 17. მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრი; 18. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. წიალისეულის მოპოვების ადგილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

ლურჯი წითელი ყვითელი შავი